ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ.

საქართველოს ხალხის ხმა

№ 23. 10 ივნისი, 1922 წელი. № 23.

ᲯᲐᲜᲒᲠᲘ ᲙᲐᲣᲨᲘᲨ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ.

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ მოსკოვის კომისართა ჯარების შემოსევა საქართველოში იყო გაგრძელება ცარიზმის პოლიტიკის, იყო მკაფიო და აშკარა გამოხატვა მოსკოვის იმპერიალიზმის.

მაგრამ ვერ წარმოგვედგინა, რომ მოსკოვის კომისრები იქამდე დაეცემოდენ და გათახსირდებოდენ, როგორც ეს დღეს გამოაშკარავდა.

მართლაც რა იყო მიზეზი საქართველოს დაპყრობის?

დახმარება დენიკინ-ვრანგელის ჯარისადმი? სრულიადაც არა. ეს ჭორი ხომ შემდეგ იქნა სახელდახელოთ შეთხზული თვით ბოლშევიკთა კალმის ჯამბაზებისაგან. საქართველოში საბჭოთა სისტემის «რევოლიუციური» გზით გავრცელების სურვილი? რასაკვირველია, ასეთი სურვილი დიდი ხნიდან ქონდა მოსკოვს. მაგრამ განა მან თვითონ არ დაახურდავა თავის კომუნისტური პრინციპები და სისტემები ბითუმათ და ნაჭრობით გასაყიდათ?

თუ ეს ლოზუნგი—საბჭოთა ხელისუფლების შემოღების გადმოსროლილ იქნა ეს უმთავრესათ უფრო იმ ქართველ მახინჯებისთვის, რომელთა როლი უსაშინელესი ბოროტების ჩადენა მშობელი ერის გაყიდვა უნდა ყოფილიყო.

ამით ჩვენ არ უარვყოფთ, რასაკვირველია იმას, რომ მოსკოვს ჭირივით ეჯავრებოდა საქართველო, როგორც დემოკრატიული და ნამდვილი რევოლიუციონური ქვეყანა, რომელიც თავის მაგალითით—სამოქალაქო ომის უარყოფით, თავისუფლებებსა და ხალხს ნამდვილ ნებასურვილზე დამყარებით, უმრავლესობის პრინციპის გაბატონებით და უმცირესობის დიქტატურის უარყოფით, ცოცხლათ შემარცხვენელი და სახელ გამტეხი იყო მოსკოვის დიქტატორთა უმსგავსო საქციელის და საშვალებას ართმევდა მათ კომუნიზმის მაღალ იდეებით თავის ველური მოქმედება გაემართლებიათ.

მაგრამ ეს დაპირისპირება, ეს ცოცხალი მაბილებელი შეიძლება კიდევ მოეთმინა მოსკოვს, რომ სულ სხვა, ნივთიერი, საიმპერიალისტო მიზეზები არ გამოჩენილიყო, რომელმაც მიიზიდა ოდესღაც მეფის თვითმპყრობელობა. ეს გახლდათ ბაქოს ნავთი და მისი გასავალი გზა ბაქო-ბათუმის ხაზი.

აზერბეიჯანი და ბაქო მან კიდევ 1920 წლის გაზაფხულზე ჩაიგდო ხელში და აღსანიშნავია, რომ სწორეთ ამ ხანებში მან მეგობრულათ ხელი გაუწოდა საქართველოს დემოკრატიას და მასთან ხელშეკრულება დასდო, რომლითაც იცნო მისი სუვერენობა, და მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა. ეს იყო 7 მაისს.

მაშ რაღათ დაესხა მას თავს ათი თვის შემდეგ! ნუ თუ საქართველომ მას ნავთის გზა შეუკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოხრჩობა მოუნდომა? არა და ათასჯერ არა. საქართველოს დემოკრატიას ყოველთვის სწამდა, რომ ბაქოს ნავთს გზა ევროპისაკენ ბათომზე აქვს და რომ ეს გზა მას აუცილებლათ უნდა მიეცეს. და მან მისცა კიდეც. მაისის აქტის მეორე დღიდანვე საქართველო შეუდგა საჭირო ხელშეკრულების დადებას რუსეთთან, და რამდენიმე თვის განმავლობაში იგი დაამთავრა კიდეც. რუსეთს მიეცა საშვალება საქართველოს ნავთსადენით სრული სარგებლობის და ბათუმის პორტის და ნავთის საწყობების სავსებით გამოყენების. მას მიეცა უფლება სხვა ყოველგვარი საქონლის საქართველოს კარებით თავისუფლათ გადატანის. ერთი სიტყვით საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ, როგორც ეს შეფერის ბეზობლობას და კეთილგანწყობილებას, რუსეთის ყოველი ეკონომიური ინტერესი დააკმაყოფილა. მაგრამ მისი აზიური ფანატიზმი და საშვალებათა განურჩევლობა ამით ვერ შეაჩერა. მოსკოვმა მაინც სისხლის დაღვრა ირჩია, მაინც ხმალსა და ძალადობას დაადგა, საუმჯობესოთ მაინც იმპერიალიზმის, დაპყრობის, პატარა მეზობლობის განადგურების გზა დაინახა.

რატომ?

აი აქ მივადექით ჩვენ მოსკოვის იმ უკიდურეს დაცემას და პოლიტიკურ გათახსირებას, რომელსაც აღმოსავლეთის უსასტიკეს დესპოტიების ისტორიაში თუ შეხვდებით.

გაკოტრებულმა და აოხრებულმა რუსეთმა კომუნიზმის დათმობაში რომ ვერ მიიღო «ოტსტუპნოი» ევროპის კაპიტალისაგან, ისევ თავის ქვეყნის სიმდიდრის გაყიდვას და დაგირავებას შეუდგა. მაგრამ რეალურათ სადღეისოთ ასეთი აღმოჩნდა მხოლოდ ბაქოს ნავთი. სხვა ყოველი სიმდიდრე ან აოხრებულია, ან გასატანათ მიუწდომელი უგზოობის თუ სხვა გარდაუვალი დაბრკოლებების გამო.

და მოსკოვი შეუდგა ნავთით ვაჭრობას... და აი აქ ამ ვაჭრობის პროცესში ნავთთან ერთათ გასწირა მთელი ერის თავისუფლება, სოციალისტური რესპუბლიკის, ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნის თვითარსებობა... ამ მიზნით შეუთანხმდა იგი ევროპის კაპიტალს და ოსმალეთის ფაშებს... უკანასკნელთ მან იარაღი და ფული მიუძღვნა. პირველთ ნავთის კონცესიებს დაპირდა, ნავთის გაზიდვის მონოპოლია შესთავაზა, რაც დღეს ევროპაში ყველასათვის ცხადია და ხარბიელოა და აი ამათ სამაგიეროთ საქართველოს დაპყრობის უფლება გამოითხოვა. საქართველო ხომ ნავთის გზაზე ძევს და მონოპოლიის შექმნა გაზიდვაზე მისი მონაწილეობის გარეშე ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

და აი ეს ვერ მოითმინა მოსკოვმა და პატარა მონაწილეს თავიდან მოშორება, მისი სისხლით დამორჩილება გახდა მისი ლოზუნგი. სისხლი ხომ მას არაფრათ უღირს,— ნავთს კი ფასი აქვს. ფასი აქვს გაზსაც. მაშ საქართველო უნდა დაპყრობილ იქნეს, მარა როგორ? საქართველო ხომ ევროპისკენ იხედება, ევროპას მეგობრობს და მას იმეგობრებს. ეს კი საეჭვოთ ხდის მაზე სამხედრო გამარჯვებას. ცხადია ეს უნდა როგორმე მოშორებულ იქნეს. და აი მოსკოვი ყიდის ბაქოს, უმეგობრდება ფაშებს და ყიდულობს საქართველოზე თავდასხვის უფლებას. ის ხდება ევროპის კაპიტალის შინა ყმათ—მის ყურმოჭრილ ლაქიათ და ებრძვის დემოკრატიულ-სოციალისტურ რესპუბლიკას. ის გვერდში უდგება ფეოდალურ ოსმალეთს, და მის ფაშებს, ხოლო ანგრევს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს. ის კისრულობს ერის ჯალათობას რომ კაპიტალს ფინანდაზათ ფეხქვეშ გაეგოს და მისგან აღებული «წყალობით» თავის არსებობა გაახანგრძლივოს. და იგი აღწევს თავის სისხლიან მიზნებს. საქართველო ხდება რუსის ჩექმის საჯიჯგნათ და მის გამყიდველ უღირს პირთა სათარეშოთ. მაგრამ როდემდის?

მავრმა შეასრულა თავის ბოროტი საქმე, ჯალათმა—მოათავა სამარცხვინო ხელობა და ელის სასყიდელს...

მაგრამ აქ თავი იჩინა ისეთმა მოვლენებმა, რომელსაც მოსკოვის სატრაპები არ მოელოდენ.

ერთი მხრით იარაღით და მტრის სიმრავლით დამარცხებული საქართველო, შემოსეულ მოძალადეს მთელი თავის მორალური სიმტკიცით უარყოფს, და ბაქო-ბათუმის გზის თავისუფლათ გაყიდვის საშვალებას მოსკოვს არ აძლევს. იგი მაინც მედგრათ დგას თავის სადარაჯოზე და მთელ ქვეყანას მკაფიოთ ეუბნება, რომ მისი ეროვნული უფლებების შელახვით და მისი დამოუკიდებლობის გადაქელვით ბაქო-ბათუმის გზა გახსნა არ შეიძლება, რომ ეს გზა თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფალ საქართველოზე გაივლის, რომ მისი არსებობა მხოლოდ ქართველი ერის ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

მეორე მხრით ევროპა-ამერიკის კაპიტალისთვის ბაქოს ნავთი იმდენათ მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ მაზე სამონოპოლიო უფლებების დამყარება მოსკოველ «ხაზეინებისთვის» შეუძლებელი გახდა. და მთელ იმ აზიურ, უხეშ, უმსგავს ლაქიურ ცბიერებას, რომელშიაც ასე დახელოვნებულია მოსკოვის სატრაპი, ის შედეგი მოყვა, რომ დღეს ბაქოს ნავთი ევროპა-ამერიკის «დიდი ბატონების» გასაყოფი და გასარიგებელი შეიქნა. მავრმა კი ვერც კონცესია გაასაღა, ვერც დაპირებული სესხი გაინაღდა. ეს გამოაშკარავდა გენუაში.

და მავრი დარჩა ხელცარიელი. იუდამ ვერ მიიღო თავის 30 ვერცხლი, სისხლის სასყიდელი.

სამაგიეროთ, საკმაოთ გასაგები და მისახვედრი შეიქნა ყველასათვის, რომ გარეშე კავკასიის ერების ხმის მოსმენისა და მათი კანონიერი ინტერესების მხედველობაში მიღებისა, ბაქოს გზა დახშულია და იქ არსაიდან არ მიისვლება. აშკარა შეიქნა, რომ რუსის უხეში ხიშტები ღღეს საქართველოში შემოჭრილი ამ გზას მხოლოდ ხერგავს, სპობს, ახშობს და რომ მხოლოდ მისი აქედან ჩამოცილებით დაიწყება ხანა ბაქოს სიმდიდრის საერთო ეკონომიური აღორძინებისათვის გამოყენების. და ეს უნდა გახდეს ძალაუნებურათ მორიგ საკითხათ ევროპისათვის.

F 11814

რა მოგვისტანა გენუამ?

ხალხი ხშირათ ილიუზიებით ცხოვრობს, განსაკუთრებით იქ, სადაც მეტი გაჭირვებაა. და საქართველოში ხომ ისე, როგორც რუსეთში, უბედურების ალმური ტრიალებს. და ყოველი დიდი, მსოფლიო ხასიათის მოვლენიდან დაჩაგრული ხალხი თავის უსამართლო ხვედრის გამოსწორებას მოელის. განა კაცობრიობა არ შეხედავს მის მწარე ბედს, მის ბედშაობას, ძალმომრეობით, მოტყუებით, ხიშტით მიყენებულს და არ იტყვის სვინდისს ქვეშ მის სასარგებლო სიტყვას? ნუ თუ უკანონობა, უსამართლობა, ადამიანის და ერის ელემენტარულ უფლებათა გაქელვა ასე მუქთათ ჩაუვლის გალაღებულ თავდამსხმელთ?

და გენუის კონფერენციაც ხომ ერთი ასეთი დიდი მოვლენათაგანი იყო, რომელსაც ევროპისთვის სამუდამო ზავი და ეკონომიური თანამშრომლობა უნდა მოეტანა, ხოლო მეზობლებისთვის უფრო ძლიერი მეზობლისგან დაფარვა და უშიშროება. ეს იყო სპეციალური მე-6 მუხლი ამ კონფერენციის მოწვევის წინასწარი პირობის.

და ჩვენ ღრმათ გვრწამს ქართველი ხალხიც ელოდა ბევრ რამეს.

მართლაც გენუამ ვერ აუარა გვერდი საქართველოს, ვერ გადაუდგა განზე მის საკითხს.

მაგრამ მან შეიძლება ვერ მოგვცა ის, რაზედაც ოცნებობდა ბევრი: თავის დახსნა ბოლშევიკურ ბარბაროსებისაგან, მან ვერ გააყვანინეს ჯარი რუსეთს. კიდევ მეტი, მან ვერც კი შეაჩერა სვანეთზე თავდასხმა, თუმცა მოსთხოვა იგი ჩიჩერინს.

ერთი სიტყვით, მან რეალურათ ვერ გამოასწორა იმ უკულმართობის შედეგი, იმ სისხლიანი ეპოქის ნაყოფი, რომელიც თებერვლის თავდასხმაში და თავისუფალი ქვეყნის უხეშათ დაპყრობაში გამოიხატა.

და ეს არც შეიძლებოდა მოეცა. არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობა სამართლიანობის პრინციპზე კიდევ ლაპარაკობს, მაგრამ მის განხორციელებაზე დიდათ თავს არ იტკივებს. მისი მამოძრავებელია არა ეს ჰუმანიური პრინციპი ადამიანთა კულტურის შემუშავებული, არამედ მშრალი ეგოიზმი,—ანგარიშიანი დაცვა თავის ინტერესების და მხოლოდ ამის.

სხვა ქვეყანასა და ერზე ზრუნავენ და ლაპარაკობენ იმდენათ, რამდენათ ეს მათ საკუთარ ინტერესს ემსახურება, ეთანხმება, ისე მაგალითათ, როგორც მექარხნე ზრუნავს თავის მუშების სიცოცხლეზე მხოლოდ იმისთვის, რომ უმუშახელოთ არ დარჩეს მისი ქარხანა, და მათ ადამიანურ უფლებებს კი არას დაგიდევს.

საქართველოს გარშემოც წარმომდგარი დავა—ამ თვალსაზრისით იქნა განხილული და შეფასებული ყველა ქვეყნებისაგან. ძალთა ჭიდილი, ინტერესთა შეხლა-შემოხლა იყო მთავარი გამსაზღვრელი ფაქტორი ჩვენი საკითხის, და მხოლოდ ეს. მარტო მუშათა კლასს შეუძლია დღეს თავის მოქმედებაში მომავალის ბრწყინვალე პერსპექტივებით და საკაცობრიო იდეა-

ლებით იხელმძღვანელოს. მხოლოდ მას შერჩა პრინციპიალურ სიმაღლეზე ასვლის და უსამართლობასთან შებრძოლების უნარი, თუნდაც იგი პირდაპირ მას არ ეხებოდეს.

და საქართველოსაც ამიტომ უანგარო დამცველი მხოლოდ ამ კლასის მასსასა და მოღვაწეთა შორის გამოუჩნდა. სავალალოთ და სამწუხაროთ მათი ხმა და გავლენა საკმაოთ არ ისმოდა გენუაში, ისინი არ იყვენ იქ ისეთი ფაქტორი, რომელთაც შეეძლო დიდი კვალის დაჩენა. ბურჟუაზიული სახელმწიფოები კი მოქმედებდენ სულ სხვა ანგარიშებით. ამას ადვილათ დაინახავს მკითხველი, თუ გადაათვალიერებს ყველა იმ ცნობებს, რომელიც ჩვენ გაზეთში იყო მოთავსებული გენუის შესახებ. მაშასადამე, ჩვენ დიპლომატიას უნდა მთელი თავის ძალღონით ემუშავნა, რომ რაიმე სასარგებლო შედეგები მიეღო, და აი რას მიაღწია მან. ბოლშევიკები საქართველოს თავის მოკავშირე, თუ მონაწილე რესპუბლიკათ თვლიდენ, და მის წარმომადგენლობას თავის აგენტს ბუდუ მდივანს და ბ-ნ ჩიჩერინს აკისრებდენ. ამის მიღება კონფერენციისგან იქნებოდა ჩვენი დაპყრობის დადასტურება. კონფერენციამ ეს უარყო, მაშასადამე ამით საბოლოოთ და მტკიცეთ განაცხადა, რომ საქართველო რუსეთის ნაწილი არ არის, რომ იგი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. განაცხადა, რომ ბოლშევიკების ჯარის შესვლა ამ ქვეყანაში არ ქმნის მათთვის რაიმე უფლებას. საქართველოზე იგი **უკანონოა, უსამართლოა**, და რომ ჯარით შექმნილი მართველობა საქართველოს მთავრობათ არ ჩაითვლება. ერთი სიტყვით, უარყო ის, რასაც ბოლშევიკები წინეთ და შემდეგაც მთელი თავის ენერგიით ცდილობდენ მიეღწიათ. და ამ რიგათ საერთაშორისო მაშტაბით, ნათლათ დასურათდა მდგომარეობა საქართველოსი, როგორც დამოუკიდებელი, მაგრამ დღეს უკანონოთ დაკავებულის უცხო ჯარის მიერ, ხოლო წარმომადგენლობის უფლება—ქართველი ხალხის ნდობით აღჭურვილ, დღეს საფრანგეთში მყოფ მთავრობას მიეკუთვნა.

ეს არის თუ გნებავთ ჩვენს საკითხში ყველა ბურუსის გაფანტვა, მოსკოვის მიერ ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული აგიტაციის გაცუდება, ტროკკის ფილიპიკების უკუგდება, მათი საერთოთ დაგმობა და გაბიაბრუება. ეს არის საქართველოს იმ უფლებათა აღიარება, რომელიც მან სამი წლის არსებობით და სახელმწიფოებრივი შემოქმედების გამოჩენით დაიმსახურა. ეს არის შედეგი წარსულის და გამართლება დღევანდელი გაალმასებული ბრძოლის, იმ სასტიკი და ერთსულოვანი წინააღმდეგობის, რომელიც ქართველმა ერმა ასეთი განსაცვიფრებელი სახით გამოიჩინა. პოლიტიკურმა მოღვაწეობამ ჩვენი დიპლომატიისა შესძლო ეს ხალხის ნამოქმედარი აღებეჭდა და დაედასტურებინა, მისთვის სათანადო შეფასება მიეცა საერთაშორისო მაშტიბით. ეს არის იურიდიულათ და მორალურათ ჩვენი საქმის წინ წაწევა და ოკუპანტების უკან დახევა, მათი პრეტენზიების გაცუდება, მათი ძალმომრეობის ბოროტმოქმედებათ აღიარება.

მაგრამ ეს კიდევ არ არის იმ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვისგან განთავისუფლება, რომელსაც უცხო ჯარის უხეში ქუსლი აყენებს მთელ ხალხს. ოკუპაცია ისევ რჩება, ძალადობა ისევ გრძელდება, მოძალადეები ისევ განაგრძობენ ფაქტიურ ბატონობას. ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც დიპლომატიის და პოლიტიკური მუშაობის შესაძლებლობას აღემატება. საერთაშორისო ურთიერთობას არა აქვს დღემდე და არც ექნება დიდხანს, ისეთი ორგანო და საშვალებები, რომ მშვიდობიანი გზით გაასწოროს ჩადენილი უკუღმართობა. ამისთვის სულ სხვა გზები და საშვალებები არსებობ...

ნავთის მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკაში.

თუ მე-19 საუკუნეს სამართლიანათ უძახოდენ ნახშირისა და ორთქლის საუკუნეს, მე-20 საუკუნეს შეიძლება თამამათ ვუწოდოთ ნავთის საუკუნე. ე. წ. შინაგანი წვის მოტორის გამოგონების შემდეგ ნავთის მოხმარება და მისი საჭიროება საშინლად გაფართოვდა. ამით მთელი რევოლიუცია მოხდა მრეწველობაში. ნავთი შეიქნა მისი შემდეგი განვითარების უმთავრესი პირობა. ნავთის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა ომის დროს და ზავის შემდეგ, როცა ქვანახშირის ამოღება, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ძველი რაოდენობით შეუძლებელი გახდა. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ ისიც, რომ ნავთით თბება დღეს აგრეთვე გემის მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანებიც. ამერიკის ფლოტის 80% დღეს ნავთზე მუშაობს. სამხედრო გემებისათვის ნავთს კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ ის უმატებს მათ სიჩქარეს და, როგორც ნახშირზე უფრო მსუბუქი ნივთიერება, საშვალებას იძლევა მეტი ზარბაზნების მოთავსებისა და საერთოდ მათი უკეთ შეიარაღებისა.

ყოველივე ამის გამო ნავთის მნიშვნელობა ძლიერ გაიზარდა. ის გადაიქცა დიდ საქიშპო საგნათ და თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკის მთავარ ძარღვათ. აი, როგორ ახასიათებს ნავთის როლს სახელმწიფოსათვის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა ყოფილი სეკრეტარი ლენი:

«შეუმჩნეველათ ჩვენ თავი ამოვყავით ახალ საუკუნეში, რომლის საფუძველი ახალი მამოძრავებელი ძალაა. ომმა ამაში თვალი აგვიხილა ჩვენ. დამოკიდებული შევიქენით არა მარტო ფოლადისა და ელექტრონისგან, არამედ აგრეთვე ნავთისაგანაც, და იმდენათ ძლიერ დამოკიდებული, რომ ამის წარმოდგენაც კი არ შეგვეძლო. ერი, რომელსაც ნავთი არ აქვს, უძლურია ომში. ვერდენი უსათუოთ დაეცემოდა და პარიზს უეჭველათ აიღებდენ, რომ ნავთის შამოძრავებელნი არ ყოფილიყვენ. ჰაერიც და ახალი სამხედრო ოპერაციებიც ხელმისაწდომი ხდება ნავთის შამოძრავებელთა წყალობით. ავტომობილები, აეროპლანები, წყალქვეშა ნავები—ყველანი ამ ახალ ამოჩენილი მამოძრავებელი ენერგიის პირმშო შვილებია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ერი, რომელსაც ნავთი არ აბადია, ვერ დაიცავს თავიხ არსებობას მტრისგან, რომელსაც იგი მოეპოება».

მართლაც, მსოფლიო ომის დროს ყველასათვის ცხადი შეიქნა ნავთის უაღრესი მნიშვნელობა სამხედრო ოპერაციების უკეთ წასაყვანათ. რკ.-გზების მოშლისა და ნახშირის გაძვირების მიზეზით დიდი ადგილი დაიკავა ავტომობილებმა. ფოშის თქმით «მოკავშირეთა გამარჯვება—ეს საბარგო ავტომობილის რკინის გზის ორთქლმავალზე გამარჯვება იყო». 1917 წელს საფრანგეთში ნავთი თითქმის გამოილია. მაშინ ამერიკამ მიაწოდა მას თავისი დიდძალი შემონახული ნავთი და, როგორც კერზონმა განაცხადა თემთა პალატაში, «მოკავშირეები მიიყვანეს გამარჯვებამდი ნავთის ტალღებმა». გადამწყვეტი ბრძოლის დროს მოკავშირეები დასავლეთის ფრონტზე ჯარების საჩქარო გადაჯგუფებას ავტომობილების საშვალებით ახდენდენ.

ამ ნაირათ თანამედროვე დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოში გეგემონიისათვის ბრძოლას, მჭიდროთ გადაება ნავთის საკითხს. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდი ინგლისმა საადმირალოს მოთხოვნით მრავალ ადგილას შეიძინა ნავთიანი ადგილები და აგრეთვე ფინანსიური მონაწილეობა მიიღო ნავთის მრეწველთა ე. წ. ინგლის-სპარსეთის საზოგადოებაში. ინგლისის განსაკუთრებული ლტოლვა მესოპოტომიისაკენ აიხსნება უმთავრესათ ნავთის ხელში ჩაგდების სურვილით.

1920 წ. 24 აპრილს ინგლისი სან-რემოში ხელშეკრულებას დებს საფრანგეთთან, რომლის ძალით მსოფლიოს ნავთის წყაროები უნდა გაიყოს ამ ორ სახელმწიფოთა შორის. ფაქტიურათ ეს ხელშეკრულობა ინგლისს ნავთის მონოპოლისტის როლში აყენებს. ამ ხელშეკრულობით იგულისხმება ნავთიანი ადგილების ექსპლოატაცია რუმინიაში, გალიციაში, კავკასიაში, სახალინის კუნძულზე, უკრაინაში და სხვაგან. ამ ქამათ ინგლისის ფინანსისტებისა და მთავრობის ხელშია ბევრი ნავთის წყაროები რუმინიის, გალიციის, რუსეთის; აზიაში—მესოპოტამიის, ბირმის, ჰოლანდიის ინდოეთის, სახალინის, ფრანგთა ახალშენების; ამერიკაში—მექსიკის, კოლიფორნიის, პანამის, ვენეცუელის, კანადის, ტეხასის, ოკლახამის, ტრინიდადის; აფრიკაში—ეგვიპტის, ალჟირის, ტუნისის, მაროკოს.

ამნაირათ, ინგლისი თანდათან ხდება ნავთის მონოპოლისტი. მის ხელში ამ ერთი-ორი წლის წინათ იყო 11 მილიარდი ბირილი (ზომაა) ნავთი, ანუ მთელი ნავთის 26%. მარა ამით ინგლისი არ კმაყოფილდება. მისი მისწრაფებაა კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი მდგომარეობა და ხელთ იგდოს ახალი ნავთიანი ადგილები და ნავთის სამრეწველოები. ამ მხრივ ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა ამ ბოლო დროს ინგლისის მიერ გადადგმული ნაბიჯები კავკასიის ნავთის ხელში ჩასაგდებათ.

ახლა გამორკვეულათ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ლოიდ ჯორჯის მთავრობის მთელ არშიყობას საბჭოთა რუსეთთან სარჩულათ ედო

სურვილი ბაქოს ნავთის დაპატრონებისა. და მართლაც, ერთად ერთი რეალური სიმდიდრე, რომლის მოხმარა ახლომომავალში შეიძლება, მარტო ბაქოს ნავთია. ევროპის ბურჟუაზიამ და კერძოთ ინგლისისამ სხვაზე უკეთესათ იცის, რომ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება და გამოტანა, ეკონომიური ცხოვრების სრული განადგურებისა და ტრანსპორტის მოშლის გამო, მეტად ძნელი საქმეა: იგი მოითხოვს მრავალი წლების მუშაობას, დიდი კაპიტალისა და ტეხნიკური საშვალებების დახარჯვას, რომ დაბოლოს რაიმე ნაყოფი გამოიღოს. რუსეთის უამრავი ნედლი მასალა ევროპის კაპიტალისათვის ჯერ კიდევ დიდხანს ხელმიუწდომელი იქნება, ეს კიდევ ცოტაა. სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის ხელახალ აყვავებამდი, რუსეთი დაკარგულია აგრეთვე როგორც დამზადებული საქონელის ბაზარი. ამის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს ის პარადოქსალური მოვლენა, რომ გაღატაკებულ და დამშეულ რუსეთში დღეს «საქონლის გადაჭარბებამ» იჩინა თავი. რუსეთის შინაური ბაზარი, ხალხის მასიური გაღატაკების გამო, არა თუ ევროპის საქონელს, არამედ იმ ორიოდე ქარხნის ნაწარმოებსაც ვეღარ ასაღებს, რომელიც დანგრევასა და განადგურებას კიდევ გადაურჩა. ჰუვერის თქმის არ იყოს, დღეს რუსეთი ეკონომიური თვალსაზრისით ცალიერ სივრცეს წარმოადგენს. რომელი ჭკუათ მყოფელი კაპიტალისტი ჩაყრის მილიარდებს ასეთ პირობებში რუსეთის ტერიტორიაზე წარმოების ასაღორძინებლათ? რა გარანტია აქვს მას, რომ ათეული წლების მუშაობისა და კაპიტალის ხარჯვის შემდეგ, ის თავნსაც ამოიღებს და სარგებელსაც ნახავს?

ამიტომაც არის, რომ ორი წლის განმავლობაში ბოლშევიკებმა ვერც ერთი სერიოზული საწ რმოო კონცესია ვერ გასცეს და ვერც ერთი ხეირიანი მწარმოებელი ვერ მიიტეცეს თავის ქვეყანაში, მიუხედავათ ფართე დაპირებებისა და პრივილეგიების მინიჭებისა. ამიტომ მთელი მათი ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჯერჯეროობით მხოლოდ სპიკულიაციის საშინელ გაძლიერებაში გამოიხატა.

სულ სხვაა ბაქოს ნავთი. მართალია, ბოლშევიკების ხელში ბაქოს სამრეწველოებიც ძალზე დაზიანდენ, მარა ნავთის სამრეწველოების აღდგენა შედარებით იოლი საქმეა. მასთან ბაქო ახლოსაა შავი ზღიდან, რომელთანაც შეერთებულია ჯერ კიდევ დაუნგრეველი რკინის გზით და ბათუმის მშვენიერი ნავთსადგურით. ᲙᲐᲘ, იმართება ვაჭრობა ინგლისის არქი-ბურჟუაზიულ მთავრობასა და საბჭოთა «სოციალისტურ» რესპუბლიკის შორის ბაქოს ნავთის გარშემო «გულითადი მეგობრობის» დასამყარებლათ. ინგლისის პოლიტიკოსთა და კომერსანტთა გამოცდილმა თვალმა ადვილათ შენიშნა საბჭოთა რუსეთის სრული უ'ლურება და მისი გარდაუვალი საჭიროება მოურიგდეს, რა საფასურითაც უნდა მყოს, ევროპის ბურჟუაზიას მისგან თუგინდ ცოტაოდენი კრედიტების მისაღებათ, რაც ასე საჭიროა ძირგამომპალ კომუნისტური რეჟიმის დროებით «შესაპაჩინკებლათ». ეს ერთი ხანია ლოიდ ჯორჯი და მისი პოლიტიკური მეგობრები შემთხვევას არ უშვებენ საბჭოების მიმართ საგაზეთო ინტერვიუებსა და საპარლამენტო გამოსვლებში ქათინაურები მიეძღვნათ. გარეშე მეთვალყურისათვის ცოტა არ იყოს ეს გაუგებარი მოვლენა იყო. სად ლოიდ ჯორჯი და სად ლენინი? სად თავისუფლების მოყვარული კულტურული ინგლისი და სად ნახევრად ველურების ქვეყანა, სადაც საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთი ადამიანი მეორეზე ნადირობს? ამ ახირებული მოვლენის საიდუმლოება ყველასათვის აშკარა შეიქნა მხოლოდ გენუაში ნავთის გარშემო ატეხილი ისტორიიდან. გამოირკვა, რომ ბოლშევიკები კარგა ხანია, რაც კრასინის მეთაურობით ბაქოს სთავაზობენ ინგლისელებს, რომ სამაგიეროთ ევროპისაგან მიიღონ იურიდიული ცნობა და კრედიტები. ინგლისი ლოიდ ჯორჯის სახით ადასტურებს ქონების კონფისკაციას რუსეთში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქონება ნავთის სახით ინგლისის კაპიტალისტებმა ჩაიგდონ ხელში.

ერთხელ კიდევ დამტკიცდა, თუ რა ზედმეტი ბარგია მორალი საერთაშორისო პოლიტიკაში! კაპიტალისტური ინგლისი, რომელიც შინ გააფთრებით ებრძვის რკინის გზებისა და მაღაროების ნაციონალიზაციის პროექტს პატრონთათვის სასყიდლის მიცემით, რუსეთისათვის ადასტურებს კონფისკაციას, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისთვის დღეს გადაიქცა ბაქოს ნავთის დაპატრონების საშვალებათ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ინგლისის დღევანდელი მთავრობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ეს პირდაპირ ითქვას, გამოდის კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა მოწინააღმდეგეთ და ბოლშევიკებს მათ დაპყრობადამონებაში არაპირდაპირ ხელს უწყობს. 1920 წ. დეკემბერში კრასინთან დადებული ხელშეკრულობით მან ხელი აიღო კავკასიაში თავის განსაკუთრებულ ინტერესებზე ანუ უფრო გასაგებათ რომ ვთქვათ, ჩამოეცალა გზიდან მოსკოვს, რომ უკანასკნელისათვის გაეადვილებია ამიერ-კავკასიის, კერძოთ საქართველოს დაპყრობა. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისმა კარგათ იცოდა მოსკოვის ჯალათების მზადება საქართველოს გასასრესათ და მას ამის წინააღმდეგ არაფერი ქონდა. განიზრახა რა ბოლშევიკების ხელიდან ბაქოს მიღება, მას შეიძლება სასურველათაც მიაჩდა მათი ხელისუფლების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოთ ბათუმის პორტზე. აქედან ცხადია ისიც, თუ რა უსირცხვილოთ სტეუიან ბოლშევიკები, როცა ქვეყანას არწმუნებენ, თითქოს საქართველო ინგლისის აგენტის როლს ასრულებდა და თითქო მის არსებობას იცავდენ დასავლეთ ევროპის, კერძოთ ანტანტის სახელმწიფოები. პირიქით, საქართველოს დასჭირდა 3 წელიწადი ფაქტიური არსებობა და უთვალავი დაბრკოლებების გადალახვა, რომ ის ფაქტიურათ და იურიდიულათ ეცნოთ.

ამას წინათ ტროცკიმ უტიფრათ განაცხადა: საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანას იმიტომ მოითხოვენ, რომ აქედან მიდის გზა ბაქოს ნავთისაკენო. ნამდვილათ კი ბოლშევიკებმა საქართველო იმიტომ დაიპყრეს, რომ ინგლისის კაპიტალისტებისათვის უზრუნველ ეყოთ ბაქოში მისასვლელი გზები. ასეთია რუსის კომუნიზმისა და მისი ქართველი აგენტების სამარცხვინო როლი! მარა ამ ქამათ ჩვენ საკითხის ამ მხარეზე არ გვინდა შევჩერდეთ.

რუსეთის აოხრებისა და ნივთიერი განადგურების შემდეგ ბოლშევიკები შემოიჭრენ ადერბეიჯანში და დაიპყრეს საქართველო იმისთვის, რომ ბაქოს ნავთის საშვალებით ევროპის ბურჟუაზიას მორიგებოდენ. ლოიდ ჯორჯი ჩადგა მაჭანკლათ ბოლშევიკებსა და ინგლისელების უძლიერეს ნავთის საზოგადოების—როიალ დოიჩისა და შელის შორის. ეს საზოგადოება ემორჩილება მთავრობის კონტროლს და უკანასკნელის დახმარებით იძენს ნავთიან ადგილებს ყველგან, მთელ დედამიწის ზურგზე. უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მან მრავალი კონცესიები შეიძინა სხვა და სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინა მან ამ მხრივ ომის შემდეგ და ეს მიეწერება უმთავრესათ ინგლისის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, მიმართულია იქითკენ, რომ ინგლისი გახდეს ნავთის წყაროების უმთავრესი პატრონი და გამკარგულებელი. დღემდი ამ საქმეში უპირველესობა ამერიკას ეკუთვნოდა. ე. წ. შტანდარტ ოილის კომპანია ნავთის ბაზრის ნამდვილი ბატონ-პატრონი იყო. მსოფლიო ომის ატეხის დროს ეს საზოგადოება ამუშავებდა მთელი ნავთის 70%. კონკურენტების მას არ ეშინოდა. მის ხელში იყო მილიარდები, მას მორჩილებდენ მრავალი საზოგადოებანი, კერძო კაპიტალისტები და მისი ყურმოჭრილი მონები იყვენ ამა ქვეყნის მართველნი და გვირგვინოსანნი. მარა მის გვერდით გამოიჩეკა და ფრთა შეისხა ზემოთ დასახელებულმა ინგლისელების საზოგადოებამ, რომელმაც ჯერ ჩუმათ, სხვა და სხვა სახელწოდებით, ხოლო შემდეგ აშკარათ შეუდგა ნავთიანი ადგილების შეძენას. მან შეიყიდა დიდძალი ნავთის წყაროები და ამ მხრივ ძლიერ გაუსწრო წინ ამერიკელების ტრესტს. 43 მილიარდი ბირილი ნავთიდან, რომელსაც შეიცავს ყველა წყაროები, სადაც ახლა ექსპლოატაცია ხდება, დღეს ამერიკას მხოლოდ 7 მილიარდი ბირილის ადგილები ანუ მთელი ნავთიანი ადგილების 16,2% უჭირავს. და ეს მაშინ, როცა ამერიკა ყველაზე მეტს ნავთს ხარჯავს და მისი ნავთიანი ადგილების დამუშავებაც დიდი ინტესივობით სწარმოებს. ასე მაგალითად, 1920 წ. 688,4 მილიონ ბირილიდან მარტო ამერიკა 443,4 მილ. ბირილს ამუშავებდა, ანუ მთელი დამუშავებული ნავთის 64,4% მას ეკუთვნოდა. გამოანგარიშებულია, რომ თავისი ნავთი ამერიკას 18 წელიწადს ეყოფა, ხოლო სხვა ქვეყნებს, ერთად აღებულს 250 წელს. ეს გარემოება დიდ ნერვიულობას იწვევს ამერიკის მრეწველთა და ფინასისტთა შორის და აგრეთვე მართველ წრეებშიაც. შეერთებული შტატების ძლიერი მრეწველობა და აღებ-მიცემობა ყველაზე მეტად საჭიროებს ნავთის წყაროებს. ისედაც კაპიტალისტური განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა. მის ხელში დაგროვდა ევროპის დიდძალი ოქრო, მისმა მრეწველობამ და სასოფლო მეურნეობამ გიგანტიური ნაბიჯი გადადგა წინ, მისი ჩამორჩენილი სავაჭრო ფლოტი ომის დროს ინგლისისას დაეწია, მისი საგარეო ვაჭრობა გაიზარდა და ამნაირათ ფაქტიურათ ეკონომიური ჰეგემონია ამერიკის ხელში გადავიდა. თავისთავათ ცხადია, რომ იგი გულგრილათ ვერ შეხვდებოდა ინგლისის განზრახვას, რომელიც კავკასიის ნავთით მდიდარ ადგილების დაპატრონებაში გამოიხატებოდა. გენუის კონფერენციამ ფარდა ახადა ამ მხრივ ინლისის სურვილებს. გამოირკვა, რომ ლამაზი სიტყვები საყოველთაო მშვიდობიანობისა და ევროპის ეკონომიური აღდგენის შესახებ მხოლოდ შირმა იყო, რომელსაც უნდა დაეფარა ინგლისის მთავრობის მეტად პრაქტიკული და ცალმხრივი მისწრაფება ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებისა. ამისთვის დასჭირდა ლოიდ ჯორჯს ბოლშევიკებთან დამეგობრება და მათი «ევროპაში გამოჩენა», ხოლო მეორე მხრივ ამიტომ არის, რომ ამერიკა კატეგორიულათ უარყოფს ბოლშევიკების ცნობას და მათთან ნორმალურ დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას. ამ პირობებში ბოლშევიკების ცნობა ამერიკისათვის ნიშნავს ინგლისის კონცესიის დადასტურებას ბაქოს ნავთზე, ე. ი. უკანასკნელის სრულ გამარჯვებას ნავთის საკითხში, მის მონოპოლისტად გახდას, რაც მოასწავებს ამერიკის ჩამოქვეითებას, მის ეკონომიურ და სამხედრო დაუძლურებას. და აი ამერიკაც სასტიკ პროტესტს აცხადებს ინგლისის ნავთის პოლიტიკის წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკამ უარი განაცხადა გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, მან ენერგიულათ მოითხოვა რომ, ნავთის გარშემო ამერიკის ჩაურეველათ არავითარი შეთანხმება არ მომხდარიყო. ამ ფაქტმა გაამაგრა საფრანგეთი მის ანტი-ბოლშევიკურ პოლიტიკაში და გააკოტრა გენუის კონფერენცია. ბაქოს ნავთი იყო ნამდვილი საბაბი გენუის კონფერენციის მოწვევის და იგივე ბაქოს ნავთი შეიქნა მისი დამარცხების მიზეზი.

მარა ამ ფაქტით ბრძოლა ბაქოს ნავთისათვის არ გათავებულა. პირიქით, იგი მხოლოდ ეხლა იწყება. გენუამ მხოლოდ ფარდა ახადა იმ ფარულ მეტოქეობას, რომელიც არსებობდა მსოფლიო გიგანტების შორის კავკასიის ნავთის ხელში ჩასაგდებათ. ეს გარემოება კარგათ უნდა გაითვალისწინონ ამიერ-კავკასიის ერებმა, რომლებიც ამ ძვირფასი სიმდიდრის ნამდვილი პატრონი არიან, მარა რომელთა გარეშე დღეს ხდება მთელი ეს შეხლა-შემოხლა და პოლიტიკური ჭიდილი. კავკასია დაიპყრეს ბოლშევიკებმა უმთავრესათ ნავთის გამო და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელებიც კავკასიის ერთა თავისუფლებას ყიდიან ამავე ნავთის მისაკვისებლათ. ეს დღეს ყველასათვის აშკარაა. მარა აშკარა უნდა გახდეს მთელი ქვეყნისათვის ისიც, რომ ტყუილია ცდა ბაქოს ნავთისაკენ გზის გაკაფვისა იმათი მხრით, ვინც ფიქრობს ამ ნავთით სარგებლობას კავკასიის ერთა უფლებების შელახვით.

კავკასიის ნავთით სარგებლობა მხოლოდ აქ ბინადარ ერთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვით, მათი უდაო უფლებების ცნობით!—გარეშე ამისა ბაქოს ნავთი დაკარგულია მსოფლიო მეურნეობისათვის. ეს კარგათ უნდა გაიგონ და შეიგნონ ყველა იმათ, ვინც ასე დაჟინებით უტრიალებს ამ სანუკვარ სითხეს.

იგივე.

საქართველო და ევროპა.

გენუის კონფერენციაზე.

(საკუთარ კორესპოდენტისაგან)

I.

ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე სანამ გენუის კონფერენცია გაიხსნებოდა, ლონდონის დიდ კანტორა-ბანკების უბანში, სიტიში, გაიგონებდით ერთ ახალ ანდაზას: «თუ არა ბაქო, გენუა არ იქნებოდაო!» რას ნიშნავს ეს?

თებერვლის რიცხვებში «შელის კომპანიის» ხელმძღვანელი სერ სამოელი შეეკრა კრასინს პირობით, რომლის ძალით «რუსეთის ნავთის» ექსპორტი გადადის მთლიანათ ერთი სინდიკატის ხელში, რომლის თანხა შესდგება ხსენებულ კომპანიის და მოსკოვის თანასწორ კაპიტალისაგან. სამოელი და კრასინი უფრო შორსაც მიდიოდენ, ისინი ფიქრობდენ აგრეთვე მეორე სინდიკატის დაარსებას, რომელსაც უნდოდა ხელთ აეღო ნავთის წარმოებაც, მაგრამ ეს უნდა განხორციელებულიყო, მათის განზრახვით, საექსპორტო სინდიკატის მოგვარების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ «შელის» კომპანია უმთავრესი აქციონერია მეორე დიდ კომპანიის «როიოლ დატჩ», და ორივე ერთათ კი ფლობენ უმნიშვნელოვანეს ნავთიან ადგილებს დედამიწის ყოველ კუთხეში, აქვთ დიდი წარმოებანი ყველგან, საკუთარი გემები და სხვ.

კრასინი სწორეთ ამ პროექტით გაემგზავრა მოსკოვში კონფერენციის წინ, სხვა მას არაფერი ქონდა თავის პორთფელში. გამგზავრების წინ მას ქონდა ხანგრძლივი დარბაზობა ლოიდ ჯორჯთან, რობერტ ჰორნთან (ფინანსთა მინისტრია) და სხვებთან. მაშინ ჩაეყარა საძირკველი, შეიძლება გადაჭრით ითქვას, ინგლისრუსეთის საიდუმლო შეთანხმებას. და აი ეს შეთანხმება არის სწორეთ იმ კომბინაციების სათავე, რომლის შესახებ ასეთი აურზაური ასტეხა ევროპა-ამერიკის პრესსამ.

ეხლაც თვალწინ მიდგას მოხუც ფრანკ ვანდერლიპის (ამერიკის ცნობილი ფინანსისტი, ყოფილი მინისტრი) შეჭმუხნული სახე, რომლისაგან მოვისმინე ენერგიული ფრაზა: «ამერიკა არასოდეს არ დათანხმდება, რომ ერთმა რომელიმე სახელმწიფომ (იგულისხმე ინგლისი!) ხელთ იგდოს ნავთის მონოპოლია რუსეთში».—ის მეკითხებოდა დიდის ინტერესით, თუ რას ფიქრობენ თვით კავკასიის ხალხები! მისცემენ თუ არა ნებას მოსკოვის და ლონდონის ვაჭბატონებს ასე დაუსჯელათ ყიდონ მათი ქონება? როგორია მათი სულისკვეთება?—ჩვენ ხომ მოწვეული არა ვართ გენუაში, მიუგე მე ღიმილით, ჩვენ აზიაში ვართ, ხოლო ნავთი ევროპაშია!

და თუ მართალი გნებავთ, გენუის კონფერენცია ფაქტიურათ ნავთის კონფერენცია არის. კონფერენციის პლენუმზე და კომისიების სხდომებზე წარმოსთქვამენ ხოლმე პრტყელ სიტყვებს, ან იმუშავებენ სხვადასხვა პურიტანულ რეზოლიუციებს, ხოლო კულისებში მარ-თავენ ნამდვილ საჯარო ვაჭრობას ბაქო-გროზნის სიმდიდრის შესახებ. მონაწილეობენ: რუსების მხრით კრასინი, ხოლო ინგლისის მხრით სერ სამოელი და პოლკოვნიკი ბოილი. უკანასკნელი თფილისიდან პირდაპირ გენუაში ჩამოვიდა. ამ რიგათ, რასაც ეს პირები ტეხნიკურ მოლაპარაკებაში აღწევდენ, იმას ლოიდ ჯორჯი და ჩიჩერინი პოლიტიკურ ფორმულებში აყალიბებდენ.

და ამიტომ იყო კიდეც, რომ ინგლიხელები გაიძახოდენ ყოველ ნაბიჯზე და რუსებიც დათანხმდენ, ბოლოს, რომ აზერბეიჯანი და საქართველო აზიაშიაო.

თქვენ იცით ალბათ, რომ აზერბეიჯანის დელეგაციას მხოლოდ კონფერენციის მიწურულში მისცეს ვიზები აქ ჩამოსასვლელათ, ხოლო მთიელებს სულ უარი უთხრეს. რა თქმა უნდა, ამის შესახებ წინდაწინ იყო შეთანხმება მიღწეული იტალიის მთავრობასთან. პრესსა იმასაც კი ამბობს, რომ იტალიას 15% გამოტანილი ნავთი ერგოვო. ამ რიგათ არ სურდათ, რომ კავკასიის დელეგაციებს ხელი შეეშალათ აქ თავისი პროტესტებით და სხვა გამოსვლებით.

რას შვრებოდენ ამ დროს ნარიმანოვი და ბუდუ მდივანი? ისხდენ «ჰოტელ იმპერიალში» და «სუქდებოდენ», როგორც ერთი იტალიელი ამბობდა. მათ არავინ არაფერს ეკითხებოდა, ერთხელაც არ უხსენებიათ მათი სახელი. «რუსეთის ნავთი, რუსეთის «პაიპ-ლაინ» (ნავთის მილი), რუსეთის ბათუმი»—ეუბნებოდა ყოველ დღე რაკოვსკი პრესის წარმომადგენლებს.

ნარიმანოვმა ბოლოს გზათ გავლისას განაცხადა ბერლინში აზერბეიჯანელ სტუდენტების წინაშე: «ჩვენი დამოუკიდებლობა ურყევია, რუსეთთან მეგობრული ხელშეკრულება გვაქვს, რომლის ძალით მთელი ჩვენი ნავთი 20 წლის განმავლობაში რუსეთის განკარგულებაშია, ხოლო ჩვენ აქედან გვეძლევა 15% ყოველ წლივ». მეორე მხრით, ცხადია, პოლკოვნიკი ბოილი ტყუილათ არ იყო თფილისში, მას ქონდა უეჭველათ მოლაპარაკება იქაურ ვაჭბატონებთან თებერვლის შეთანხმების უმტკივნეულოთ ჩასატარებლათ.

პრესსის განგაშმა უეჭველათ ავნო ლოიდ ჯორჯს, თითქოს ერთი ფრთა მოსტყდა, მან თავი მიანება მუქარას «ანტანტას» მიმართ. მან განცხადებაც კი გააკეთა ვაჭრობის შესახებ, არაფერი ვიცოდიო, ფაქტები კი ვერ უარყო. ვერ უარყო ისიც, რომ ერთი მისი ნათესავი და მეგობარი (მდიდარი სასუნ) «შელის» დიდი აქციონერია.

ამით აიხსნება ისიც, რომ კონფერენციის ყოველ წაბორძიკებას ეხლა პუანკარეს შეურიგებლობას აღარ აწერენ. უკვე აშკარა ხდება ყველასათვის, სად მარხია ძაღლის თავი.

— მაშ ჩვენ რისთვის გვიწვევდენ, თუ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი საქმე არ ქონდათ?—კითხულობენ დაბალის ხმით პატარა სახელმწიფოთა დელეგატები. მაგრამ პატარას ვინ დაეძებს, დიდებიც აბუჩათ აიგდეს.

რუსეთთან შეთანხმება არ მოხდა, კონფერენცია მოკვდა და ამის არაუკანასკნელი მიზეზი ნავთის მახინაციების გამომჟღავნება იყო.

II.

წმ. გიორგის ძველ სასახლეში, სადაც გენუელებს ოდესღაც მსოფლიოში პირველათ ბანკი დაუარსებიათ, დღეს დილით გაიხსნა უკანასკნელი სხდომა კონფერენციისა. სხდომას საზეიმო ელფერი ედო, თუმცა ყველასათვის ნათელი იყო, რომ მოსულან არა საზეიმოთ, არამედ უკანასკნელ «მშვიდობის» სათქმელათ საკუთარ ალიუზიებისათვის.

ლოიდ ჯორჯი, ინიციატორი, და ასე ვთქვათ, გმირი კონფერენციისა, თავის ნახევრათ იუმორისტულ სიტყვაში გაურბოდა კიდევ ერთი კვირის წინ მის მიერ ნახმარ ჰაეროვან ფრაზებს, თითქოს გენუიდან უნდა დაწყებულიყო კაცობრიობის განახლების ახალი ხანა. ის იყო ზომიერი ამ ჟამად და დიდი ენერგია დახარჯა იმისთვის, რომ გაემართლებია ამდენ პრემიერების და მინისტრების ექვსი კვირით გაცდენა. უფრო საინტერესო იყო, როცა მან მიმართა მოსკოვის დელეგაციას და ხუმრობის კილოთი უხსნიდა მას ევროპის ვაჭრის ფსიხოლოგიას. «საუბედუროთ—თქვა მან—ევროპიელს რამდენიმე ცრუმორწუნოება შერჩათ თავის მამა-პაპიდან. მაგალითათ, როცა ის გაძლევს საქონელს, ფული ჩამოყაჭეო გეუბნება, ან კიდევ, როცა მას ფულს ესესხები, ჯერ ძველი ვალი გამინაღდეო, მოგიგებს. მოგწონთ თუ არა, ასეთია ჩვენი ადათი, მეტი გზა არაა, უნდა გაუწიოთ ანგარიში, ბ. ბ. კომუნისტებო, ამ ცრუმორწმუნოებას.»

ჩიჩერინი მიხვდა, რა თქმა უნდა, რაზე ელაპარაკებოდენ, და სწორეთ ამიტომ ლამის ენა მუცელში ჩაუვარდა. ის არ იყო ისე რიხიანი, როგორც პირველ სხდომაზე, მისი ხმა უფრო ჩაჭრილ შეგირდის კრუსუნს წააგავდა. მიზეზი ცხადია: კრემლში შეთვისებულმა დემოგოგიურმა გამოსვლებმა ყველას თავი მოაბეზრა; მეორეს მხრით, საჭირო იყო უფრო თავდაბალი კილო, რომ ლოიდ ჯორჯის «ცრუმორწმუნე» ვაჭრები არ გაებრაზებინა, რომელთაგან მოელიან ბოლოს და ბოლოს ხსნას მოსკოვის ბატონები.

რატენაუმ სამაგიეროთ რამდენიმე «ჭეშმარიტება» ამცნო დამსწრეთ. «ამაოა რეზოლიუციების წერა—ამბობდა ის,—თუ ძირიანათ არ შეიცვალა ომის შემდე გაბატონებული ზნე-ჩვეულება. თუ გნებავთ, რომ მოვალემ გიზღოს ის, რასაც მისგან მოითხოვ, საჭიროა მას ყელში არ წაუჭირო და მისცე მას დრო და საშვალება ხელის განძრევის. შეუძლებელია ეკონომიურ კრიზისის შენელება ევროპაში, ან კრედიტის აღდგენა, თუ მუდმივ მუქარის ხმა გაისმის.» ორატორს, როგორც მისახვედრია, ვერსალის ზავი და მისი საბედისწერო შედეგები ჰქონდა მხედველობაში. რატენაუმ რუსეთს შესთავაზა რამდენიმე ტკბილი სიტყვა, რაზედაც მხურვალე ტაში მიიღო ჩიჩერინისაგან. «რაპალო'»—გაისმა იქით-აქედან ხმა.

ბარტუმ უთხრა რუსებს: «მართალია, ჩემი სურათი დასწვეს პეტროგრადში, მაგრამ მე არ მინდა მწარე სიტყვები ვიხმაროო. ჩვენ ვარჩევთ რუსის ხალხს მის დღევანდელ ბატონებისაგან, ვწუხვართ მისი უმწეო მდგომარეობის გამო, მაგრამ ამის მიზეზი ჩვენ არავართ. ძალიან მომეწონა, თქვენი სიტყვა—მიმართავს ის რატენაუს,—მაგრამ სად იყავით ომის წინ, რატომ მაშინ არ იცავდით მშვიდობიანობის იდეებს?» ბარტუს ეტყობოდა, რომ ის კმაყოფილი იყო კონფერენციის ჩაფლავებით.

იტალიის პრემიერმა და კონფ. თავმჯდომარემ ფაქტამ ნამდვილი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა: «მართალია, შენ მოკვდი—მიმართავდა ის კონფერენციას—, მაგრამ საქმენი შენნი საშვილიშვილოთ დაუვიწყარი დარჩებიან!» ის ძალიან ნასიამოვნებია, რომ ყველასგან დიდი მადლობა დაიმსახურა მან და იტალიამ კარგი მასპინძლობისათვის. სიმართლე უნდა ითქვას, გენუის კონფერენცია საუკეთესოთ იყო მოწყობილი გარეგნულათ. ხუმრობა როდია, თითქმის **ას მილიონ** ლირათ დაუჯდა ის ხალხს!

* * *

სხდომაზე მიღებულ იქნა, სხვათა შორის, უკანასკნელი შეთანხმების ტექსტი, რომლის ძალით ივნისის დამლევს ჰაეგაში უნდა შეიკრიბოს ორი კომისია: ერთი რუსის და მეორე არა რუს ექსპერტებისაგან შემდგარი. ამ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიებმა უნდა გამოიკვლიონ ძველი ვალის, კერძო საკუთრების და კრედიტის კითხვები (რუსეთისთვის) და, თუ მოხერხდა, შეთანხმებული დასკვნები უნდა შეიმუშავონ მათ შესახებ.

მაგრამ ამერიკის ცივი უარი ჰაიაგაში მონაწილეობაზე, არ უქადის კარგ ბოლოს არც ამ კომისიების მუშაობას. ჯერ არც ის იციან, ყველანი გაგზავნიან თუ არა ჰაიაგაში თავიანთ ექსპერტებს. განსაკუთრებით ფრანგებზე და ბელგიელებზე შეაქვთ იჭვი ამ მხრივ. მათ მონაწილეობაც კი არ მიუღიათ საჰაიაგო შეთანხმების გამომუშავებაში.

ამ გარემოებამ გავლენა იქონიმა ეგრ. წოდ. «ნონაგრესიონის პაკტის» (ომისგან თავდაჭერის შეთანხმება) შინაარსზედაც. ლოიდ ჯორჯმა ვერ შესძლო ფრანგების დაუსწრებლათ მისგან განზრახულ მშვიდობიანობის გარანტიების შემუშავება და გაყვანა. დელეგატები შეთანხმდენ მხოლოთ იმაში, რომ ოთხი თვის განმავლობაში, დღიდან ექსპერტების მუშაობის დამთავრებისა, თავი შეიკავონ აგრესივობისაგან მეზობლების წინააღმდეგ. რუსებმა მოითხოვეს, რომ ეს შეთანხმება გავრცელებულიყო აგრეთვე რუსეთის «მოკავშირე» ქვეყნებზე. იაპონიის დელეგატი იში შეედავა მათ და საბუთად ის მოიყვანა, რომ ეს ქვეყნები (შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა, საქართველო და სხ.) მოწვეული არ არიანო, მაგრამ ლოიდ ჯორჯი რუსებს მიემხრო, და შანცერის განმარტების შემდეგ, რომ ეს სრულიადაც არ გულისხმობს იმ ქვეყნების დღევანდელ მთავრობათა ცნობას, რუსების წინადადება მიღებულ იქნა.

კონფერენციამ უკამათოთ დაადასტურა სამანდატო კომისიის მოხსენება. უკანასკნელში ნათქვამია, რომ რუსების მანდატებში ჩამატებულია, რომ მათ, რუსებს, ენდობათ «მოკავშირე» სახელმწიფოთა წარმომადგენლობაო. მაგრამ, ვინაიდან ეს სახელმწიფოები მოწვეული არ იყვენ გენუაში, ეს «მონდობილება», რა თქმა უნდა, უსაგნოდ დარჩა.

საჭიროა აღვნიშნო, რომ ბუდუ მდივანს, ნარიმანოვს და ბეგზადიანს თვითონ არ წარუდგენიათ კონფერენციისათვის მანდატები. ასე ესმით მათ ქვეყნის დვმოუკიდებლობა: ანდობენ სხვა სახელმწიფოს მის წარმომადგენლობას და თვითონ კი მოწმედ ესწრებიან. როცა გაიგო ბუდუმ, რომ სამანდატო კომისიაში მოსკოვის ოინები არ გავიდა (16 მაისს), მაშინვე აიკრა ბარგი და გაიპარა ბერლინში.

* * *

გენუის კონფერენციის მთავარ ღერძს რუსეთის საკითხი შეადგენდა. ეს იცოდა ჩიჩერინმა და ამიტომ, ერთის მხით, ის იტალიის მეფეს ელაქუცებოდა: «ნამდვილი ხალხის მამა ყოფილიხართო«, ხოლო, მეორეს მხრით, მსოფლიო პროლეტარიატს მოუწოდებდა: სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოაცხადეთ კაპიტალიზმის წინააღმდეგო?» არ გასჭრა არც ერთმა და არც მეორე ხერხმა და ხელცარიელი უბრუნდება დამშეულ რუსეთს. მოსკოვის «იზვესტიების» ერთი კორესპოდენტი ყვიროდა ყველას გასაგონათ პრესის დარბაზში: «როგორ? ფული არ მოგვცეს და პატიოსნებასაც გვართმევდენ!!!» ხოლო ფული რომ მიეცათ, ცხადია პატიოსნებასაც გაყიდიდენ და პრინციპებსაც ზედ დაურთავდენ.

სწორეთ ამიტომ წამოიძახა ტურატიმ ერთ დღეს ჩიჩერინის კაბინეტიდან გამოსვლისას: «მეგონა მართლა კომუნისტს ვიხილავდი, მის მაგიერ კი ნამდვილი მეფის დიპლომატი დამხვდაო».

ერთი ფრანგის ანონიმი სწერდა გაზეთში: «რაღას ჩასცივებიან ეგ კომუნისტები ჩვენს დიდ რევოლიუციას? განა ჩვენი მამა-პაპანი მაგათსავით იდგენ შარა-გზაზე ხელ-გაშვერილი და მათხოვრობდენ? მერე რომ ყოყოჩობენ კიდეც'»

ანჩინი.

ღია წერილი

„ჰუმანიტეს“ რედაქტორს მოქ. კაშენს *)

თქვენი გაზეთის 6 მაისის ნომერში მოთავსებულია ინტერვიუ თფილისის ბოლშევიკურ მთავრობის თავმჯდომარის ბ. მდივანის, რომელიც ასეთი ხელისხელ საგოგმანებელი განცხადებით თავდება:

«მე ვაცხადებ კატეგორიულათ, რომ იმ დღიდან, რაც საქართველოს მშრომელმა კლასმა ნება-სურვილით დაამყარა საბჭოთა რეჟიმი საქართველოში, არც გაფიცვას, და არც მით უმეტეს, რაიმე აჯანყებას ადგილი არ ქონია.»

მე არ მინდა აქ პოლემიკა გავმართო თქვენ-

*) მოთავსებულია მრავალ სოციალისტურ გაზეთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, ან დავფარო თქვენი გაზეთის პოლიტიკური და მორალური პოზიცია საქართველოს საკითხში. თუ თქვენ, თქვენს მოვალეობად მიგაჩნიათ გაამართლოთ უფრო ძლიერი დიდი მეზობლის თავდასხმა პატარა ქვეყანაზე, თუ თქვენ იცავთ საქართველოს საოკუპაციო რეჟიმს, სამხედრო რეპრესიებს, უკანონოთ დატუსაღებას, ეს თქვენი პოლიტიკური რწმენის და შეგნების საქმეა. მე არ მინდა მით უმეტეს შევეხო თქვენს იმ ცალბ დებულებებს, რომელიც გაფანტულია თქვენ წერილებში საქართველოს შესახებ. გაზეთის რედაქტორს ვერ მოვთხოვთ, რასაკვირველია, რომ დაწერილებითი და უტყუარი ცნობები ქონდეს ყოველ საკითხის შესახებ. შეიძლება ნაკლებ სინდისიერმა ინფორმატორმა ბოროტათ ისარგებლოს მისი ნდობით და შეცდომაში შეიყვანოს იგი.

მე მინდა ვიფიქრო, რომ სწორეთ ასეთი იყო თქვენი მდგომარეობა თქვენი კამპანიის დასაწყისში საქართველოს წინააღმდეგ: მთელი წლის განმავლობაში თქვენ გარწმუნებდენ, თითქოს რუსის ჯარები არ შეჭრილან საქართველოში: და თქვენ ამასვე იმეორებთ დღესაც, როცა თქვენმა ინფორმატორებმა—მე ვგულისხმობ მოსკოვის მთავრობას—რადეკის პირით უკვე აღიარა ბერლინში, რომ მათი ჯარი მართლაც შეესია და დაიპყრო საქართველო... მოსალოდნელი იყო რომ ეს გაკვეთილი შემდეგში მაინც გამოიწვევდა თქვენს უნდობლობას იმ პირთა ცნობების მიმართ, რომელთაც ასე დაგატყუეს საქართველოზე თავდასხმის საკითხში. მაგრამ თქვენ მაინც ხალას ჭეშმარიტებათ ასაღებთ ყოველივეს, რასაც ისინი გაწვდიან. საქმე ეხება არა სინამდვილის ასე თუ ისე სუბიექტიურ დაფასებას, არა თეორიულ საკითხს, არამედ ფაქტიურ სისწორეს.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი არიან თუ არა ცნობილი ხალხისაგან? დღევანდელი მუშათა საბჭოები მუშებისგან არიან არჩეული, თუ საოკუპაციო მთავრობის დაყენებული?

გამოსთქვეს თუ არა საქართველოს მუშებმა საყოველთაო გაფიცვით, პეტიციებით, დემონსტრაციებით თავისი სიძულვილი ბოლშევიკური მართველობისადმი? და წითელი ჯარი, რომელსაც უპყრია საქართველო—ვის იცავს—ხალხს ანტანტისაგან, თუ ბოლშევიკურ მთავრობას ხალხის რისხვისაგან? სვანეთი და სხვა მთის რაიონები საქართველოში აშკარათ აჯანყებული არიან, თუ არა ოკუპანტების წინააღმდეგ?

თქვენ იცით ჩვენი პასუხი ამ კითხვებზე, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება თქვენი ინფორმატორის ცნობებს. ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი?

მთელი წელიწადია ჩვენ მოვითხოვთ ევროპის სოციალისტური და კომუნისტური პარტიებისაგან, საქართველოში შერეული კომისიის გაგზავნას, რომელსაც შეეძლება ადგილობრივ შეისწავლოს მდგომარეობა და გაიგოს ხალხის ნება-სურვილი.

თქვენ გწამთ იმის სიმართლე, რასაც თქვენი ინფორმატორები გაწერინებენ საქართველოს შესახებ, მაშინ თქვენ უნდა მიემხროთ ამ ჩვენს წინადადებას. და მე მინდა ვიფიქრო, რომ თქვენ ასეც მოიქცევით.

პასუხის მოლოდინე **ნ. ჟორდანია.**

საფრანგეთის პოლიტიკა გენუაში და საქართველო.

2 ივნისს, საფრანგეთის პარლამენტში მრავალ ინტერპელიაციების საპასუხოდ საგარეო პოლიტიკის შესახებ მთავრობის თავმჯდომარემ რ. პუანკარემ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც გააცნო პარლამენტს ის წერილობითი ინსტრუქციები, რომელიც კონფერენციის გახსნის წინ საფრანგეთის დელეგატს, ბარტუს, გენუაში სახელმძღვანელოთ გადასცა. მოგვყავს ამ ინსტრუქციის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს და აზერბეიჯანს ეხება:

«ლონდონში ექსპერტების მოლაპარაკების დროს კავკასიის ნავთის საკითხი არ განუხილავთ. თუ ეს საკითხი იქნა წამოყენებული კონფერენციაზე, მაშინ დაიბადება პრობლემა გენუაში კავკასიის სახელმწიფოთა დაშვების შესახებ. როცა რუსეთის მთავრობამ პრეტენზია განაცხადა თავისი მფარველობა-ხელმძღვანელობის ქვეშ თან ყოლოდა საქართველოში და აზერბეიჯანში ფაქტიურად არსებულ მთავრობათა დელეგატები, მოკავშირეები ამის წინააღმდეგ წავიდენ იმ მოსაზრებით, რომ კანის რეზოლიუციის თანახმათ გენუის კონფერენციაზე მოწვეული იყო მხოლოდ ის სახელმწი-

ფოები, რომლებიც კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარეობენ. გარეშე ამისა, საფრანგეთის მთავრობა, რომელმაც სხვა მოკავშირე მთავრობებთან ერთად იცნო საქართველოს პირვანდელი მთავრობა «დე იურე», ვერ დაუშვებს, რომ ამ გვარი საკითხის გარჩევას დაესწროს ფაქტიურად წარმომადგენელი დღეს იქ დაყენებულ მართველობის, რომელმაც საქართველოდან გააძევა კანონიერი მთავრობა (აპლოდისმენტები ცენტრში, მარჯვნით და მარცხნით).

უნდა ითქვას, რომ აზერბეიჯანის მდგომარეობა განსხვავდება საქართველოს მდგომარეობისაგან. პირველი მოკავშირეებმა იცნეს მხოლოდ ფაქტიურად.

ყოველ შემთხვევაში ილიუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ რუსული ნავთის საკითხის მოწესრიგება გენუაში შესაძლებელი იყოს შეერთებულ შტატების მიერ მონაწილეობის მიუღებლათ»..

ბრაუნტალის მისიის გარშემო.

რედაქციას სწერენ გერმანიიდან:

«ბრაუნტალის წერილებს საქართველოს შესახებ, რომლის ნაწილი ამავე ნომერში იბეჭდება. მხურვალედ გამოეხმაურა გერმანიის და ავსტრიის საზოგადოებრივი აზრი. მოსკოვის კომუნისტების ბერლინელი გერმანული ორგა- «როტე ფანე» ცოფიან ძაღლივით დორბლებს ჰყრის. ავსტრიის, გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის მრავალ სოციალისტურ გაზეთებში უკვე გადაბეჭდეს ეს წერილები, ზოგან სრულად, ზოგან შემოკლებით. ბრაუნტალის მოწოდებამ საქართველოსათვის ქინა-ქინის შეგროვების შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ავსტრიაში უკვე დაიწყო შემოწირულებთა შეკრება, როგორც ფულით, ისე ქინა-ქინით. ავსტრიის ერთ საუკეთესო თანამედროვე მწერალთაგანი კარლ კრაუსი წაიკითხავს ლექციებს, რომლის შემოსავალი საქართველოსათვის ქინა-ქინის შეძენას მოხმარდება, გერმანიის ერთ-ერთი ძლიერ გავრცელებულ ჟურნალის «დერ ტაგებუხის» გამომცემელმა სტეფან გროსმანმა, იკისრა გერმანიის რამდენიმე დიდ ფირმებისაგან ძლიერ იაფ ფასებში საქართველოსათვის ქინა-ქინის შეძენა. ამავე დროს გროსმანი ათავსებს თავის ჟურნალში ბრაუნტალის წერილების მიმოხილვას.

ავსტრიის მუშებზე, რომლებიც აქამდე ნაკლებათ იცნობდენ საქართველოს, ბრაუნტალის წერილებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. ავტორი წერილებს არ დასჯერდა; ის კითხულობს მოხსენებებს საქართველოს შესახებ მუშათა მრავალ კრებებზე. ასე მაგ. 30 მაისს მან გააკეთა მოხსენება საქართველოს შესახებ ავსტრიის უდიდეს სამრეწველო ცენტრში ვენის ნოიშტადტში, მუშათა საბჭოს (რომელიც სხვა და სხვა სამრეწველო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან შესდგება) დელეგატების მრავალრიცხოვან კრებაზე. მოხსენებამ, რომელიც 3 საათი გაგრძელდა, ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე, რომ კრების დასასრულს, სოც.-დემოკრატი მუშები (რომ ლებიც დიდ უმრავლესობას შეადგენენ) ეცენ კომუნისტებს და კრებიდან გარეკეს. ამას მოყვა სკანდალი. კომუნისტი-დეპუტატები გავიდენ საბჭოდან და განაცხადეს, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ»...

საქართველოს საკითხი სოციალისტურ ინტერნაციონალის წინაშე.

19, 20 მაისს კელნში შესდგა მე-2 ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის და ინტერნაციონალების მონაწილე პარტიათა წარმომადგენლების შეერთებული კრება. წარმომადგენელი იყო 11 ქვეყანა (ინგლისი, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, შვეცია, ნორვეგია, ჰოლანდია, საქართველო, ჩეხო-სლოვაკია, ჰუნგრეთი და სომხეთი.)

განსახილველი იყო ტაქტიკის საკითხი ბოლშევიკებთან მოლაპარაკების დროს «ერთიანი ფრონტის» შესაქნელად.

დელეგატების მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ ნათლათ გამოარკვია სურათი იმ დამრღვეველ და დამღუპველ მუაობისა, რომელსაც აწარმოებენ ყველა ქვეყნის მუშებში ბოლშევიკების აგენტები.

კერძოდ, ირაკლი წერეთელმა დაასურათა ბოლშევიკების მოღვაწეობა საქართველოში ინტერნაციონალების ბერლინის კონფერენციის შემდეგ—როგორ გააძლიერეს რეპრესიები საქართველოში, საეკზეკუციო რაზმების «საქმენი-საგმირონი», 20 აპრილის მანიფესტაციის ისტორია. წერეთლის მოხსენებამ ყველა დელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატებში ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია. დასასრულ ი. წერეთელმა წინადადება მისცა კრებას, რომ ბოლშევიკებთან მოლაპარაკების დროს საერთო კონგრესის მოწვევისათვის «ერთიანი ფრონტის» შასაქნელად, მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა კატეგორიულად მოითხოვონ შერეული კომისიის შედგენა საქართველოს საკითხის შესასწავლად და აღნიშნულ კომისიას უნდა მიეცეს უფლება, წავიდეს, ან გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები საქართველოში ყველა სადაო საკითხების ადგილობრივ გამოსარკვევათ.

ი. წერეთლის წინადადება ერთსმათ იქნა მიღებული დადადგენილ იქმნა, ბოლშევიკებთან შეხვედრისას «ცხრათა კომისიაში,» მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენელს განეცხადებია, რომ კომუნისტების პოლიტიკა რუსეთში, საქართველოში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ძირიანად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერესებს და დასავლეთის სოციალისტებს ყოველივე საშუალებას უსპობს მათთან დაახლოვებისათვის. თუ კომუნისტებს სურთ «ერთიანი ფრონტის» შექმნა სოციალისტებთან, მათ უნდა, უპირველეს ყოვლისა, დაამტკიცონ რომ წრფელი სურვილი აქვთ ერთობის. ერთ-ერთ სურვილის დამამტ კიცებელ პასუხათ უნდა იყოს საქართველოს განთავისულება და ამიტომ მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენელი მოითხოვს შერეული კომისიის დაუყონებლივ შედგენას საქართველოს საკითხის შესასწავლათ იმ პირობით, რომ ამ კომისიას უნდა მიეცეს საქართველოში შესვლის უფლება.

„ცხრათა კომისიის" დაშლა.

23 მაისს, ბერლინში შესდგა «ცხრათა კომისიის» სხდომა, რომელიც შედგენილ იქმნა სამი ინტერნაციონალის აპრილის კონფერენციის დადგენილების თანახმად, საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოსაწვევათ ნიადაგის შესამზადებლათ.

მაკდონალდმა ვრცელი მოხსენება გააკეთა მე-2 ინტერნაციონალის შეხედულების შესახებ ბოლშევიკებთან «ერთიანი ფრონტის» შექმნის შესძლებლობის შესახებ. მისი სიტყვა გადაიქცა მრისხანე საბრალდებლო ოქმათ მოსკოვის მთავრობის წინააღმდეგ. მან დახატა მეტყველი სურათი იმისა, თუ რას აკეთებდენ ბოლშევიკები სხვა და სხვა ქვეყნებში აპრილის კონფერენციის შემდეგ, სადაც ისინი ლაპარაკობდენ თავიანთ წადილზე ერთობის დამყარებისათვის საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. მაკდონალდი ვრცლად შეეხო ბოლშევიკების უკანასკნელი თვეების მოქმედებას საქართველოში— სოციალისტების დევნას, დამსჯელი რაზმების გაგზავნას სოფლებში, მუშათა მანიფესტაციების აკრძალვას და სხვა.

დასასრულ, მე-2 ინტერნაციონალის სახელით მაკდონალდმა მოითხოვა ბოლშევიკებისაგან დაუყონებლივი შეწყვეტა ევროპაში დეზორგანიზატორული მუშაობისა, რუსეთში წითელი ტეროორის მოსპობა და შედგენა შერეული კომისიისა საქართველოს საკითხის შესასწავლად იმ პირობით, რომ ამ კომისიას მიეცემოდა უფლება საქართველოში შესვლის მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევად.

მაკდონალდის საპასუხოთ, გამოვიდა რადეკი უკმეხი განცხადებით, რომ ბოლშევიკები არავითარ პირობებს და მოთხოვნილებებს მე-2 ინტერნაციონალისაგან არ მიიღებენ და მითხოვენ საერთო კონგრესის მოწვევას ყოველივე წინასწარი პირობების გარეშე.

მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენელმა კიდევ გაიმეორა, რომ მის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნილებას აქვს ულტიმატუმის ხასიათი და ვიდრე ბოლშევიკები ამ პირობებს არ შეასრულებენ არავითარ კონგრესზე, ან დასავლეთის სოციალისტების საერთო გამოსვლებზე ბოლშევიკებთან ლაპარაკი არ შეიძლება.

მაშინ, რადეკმა განაცხადა, რომ თანახმად ინსტრუქციისა, რომელიც მათ აქვთ, ბოლშევიკები გამოდიან «ცხრათა კომისიიდან.»

კომისია გამოცხადებულ იქნა დაშლილათ. საერთო კონგრესის მოწვევის საკითხი გადადებულ იქნა იმ დრომდე, ვიდრე ბოლშევიკები თავის პოლიტიკას შეცვლიან.

ამსტერდამის პროფესიონ. კავშირთა ინტერნაციონალის კონგრესი.

20 აპრილს რომში გაიხნა პროფ. კავშირთა საერთაშორისო ფედერაციის ყრილობა. მისი მოწვევა ჯერ კიდევ გასულ წელს იყო განზრახული და ეხლა უფრო საყურადღებო შეიქნა იმის გამო, რომ იგი შეიკრიბა გენუის კონფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენციის დროს. თუ გენუის კონფერენცია ვერ გაშორდა ვიწრო ნაციონალურ ეგოიზმსა და დიპლომატების თვალთმაქცეობას ევროპის აღდგენის საკითხში, სამაგიეროთ მუშათა საერთაშორისო კონგრესმა ინტერნაციონალურ ფარგლებში დასვა ევროპის აღდგენის საკითხი და სასტიკათ გაილაშქრა ყოველ გვარ სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ.

ყრილობაში მონაწილეობა მიიღო შემდეგი ქვეყნების პროფ. კავშირების ცენტრების წარმომადგენლებმა: გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ისპანიის, ავსტრიის, უნგრეთის, ჩეხო-სლოვაკიის, ბოლგარიის, შვეიცარიის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ლიუქსემბურგის, ლატვიის და პოლშის, სულ 24 მილიონი პროფ. კავშირებში შეკავშირებული მუშების. გარდა ამისა, ყრილობაში მონაწილეობას იღებდენ 23 საერთაშორისო პროფ. კავშირების სეკრეტარიატების წარმომადგენელნი.

კონგრესი გახსნა იტალიელმა დარაგონამ, რომელმაც მოკლეთ აღნიშნა ყველა ქვეყნის მუშების საერთაშორისო კავშირისადმი მისწრაფება და მისი მნიშვნელობა. მის შემდეგ სიტყვა აიღო ამსტერდამის ბიუროს თავმჯდომარემ ინგლისელმა ტომასმა და გააკეთა მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მუშათა კლასის მდგომარეობა ცუდია, როგორც გამარჯვებულ, ისე დამარცხებულ სახელმწიფოებში. ერთ ქვეყნებში მუშები ნახევრათ შიმშილობენ, ხოლო მეორეში—საშინელი უმუშევრობაა. უმუშევართა საერთო რიცხვი 10 მილიონამდის აღწევს. ამავე დროს კი მილიტარიზმი აუარებელ სიმდიდრეს ნთქავს და საფრთხეს უმზადებს საერთაშორისო მშვიდობიანობას. მიუხედავათ ომის გათავებისა და დემობილიზაციისა, ამ ჟამათ თოფქვეშ 1 მილიონი კაცი მეტია, ვინემ მსოფლიო ომამდის იყო. ამიტომ ინტერნაციონალიზმი უნდა შეიქნეს მუშათა კლასის მებრძოლ ლოზუნგათ. ამსტერდამის ბიუროს მთელი მოღვაწეობაც ამ იდეით იყო გამსჭვალული. მან პირველმა აღიმაღლა თავისი ხმა რუსეთის ბლოკადის და უნგრეთის ხორტის რეჟიმის წინააღმდეგ. და მან პირველმა შეკრიბა რუსეთის დამშეულთათვის მილიონნახევარი მანეთის (ოქრო) დახმარება და სხვა.

ევროპის აღდგენის საკითხზე მოხსენება გააკეთა საფრანგეთის დელეგატმა ჟუომ. მისი მოხსენების შემდეგ კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს--«რეპერაციების» შესახებ დადგენილებათა გადაშინჯვას, საერთაშორისო კრედიტის შემოღებას, მუშების ინტერესების დაცვას და საყოველთაო განიარაღებას.

რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოხსენება გააკეთა ბელგიელმა მერტენმა. მან აღნიშნა ერთი მხრით კაპიტალის თავდასხმითი პოლიტიკა შრომის წინააღმდეგ, და მეორეს

სილიგისტროს.

სადა ხარ სადა? ნუ თუ მართლა არ მეღირსება:
კიდევ შევხედო შენსა თვალებს იმდენ ცეცხლიანს?
ნუ თუ დაინთქა შენი ძალა და შენი ნება,
უდიდეს მსხვერპლად ზედ დააკვდი გზასა ეკლიანს?
სადა ხარ სადა? უღვთოთ მკვდარმა ამხანაგებმა,
ნუ თუ უშენოთ ვეღარ გასძლეს, შენც მათთან წადი?
შენმა სამშობლომ მტრის უღელქვეშ ცეცხლ მონადებმა,
სადღა იპოვოს სხვა მედროშე შენსებრ ნაცადი?
კარგი იყავი ჩემო კარგო, სულით მაღალი,
არც სიყვარულში, არც ბრძოლაში არ გკვდა ცალი,
წამების ჯვარი სიკვდილამდე ამაყად ზიდე,
და აწ მფარველად დაგვიტოვე შენი სიდიდე.
ნუ გეშინია, საქართველო აღსდგება მალე,—
შენ ხომ სიცოცხლე მას შესწირე, მას ანაცვალე,—
მედგრად იბრძოლებს საფლავიდან შენი სახელი,
მის ხსენებაზე წინ, წინ წავა ყველა ქართველი.
ნუ გეშინია, იმედები შენგან ნაზარდი,
აყვავილდება მალე როგორც მაისში ვარდი,
სიმძიმე თავის ბოროტების დასცემს შენს მკვლელებს,
და გამარჯვება ცივ საფლავში გაგითბობს ცივ ძვლებს.
რა კარგი იყო შენი სახე, სული ლამაზი,
რა ბევრს ამბობდა შენი შუბლის ყოველი ხაზი,
რა კარგი იყო სითბო, ცეცლი შენში მგზნებარე,
რა რიგ გშვენოდა ყველა, ყველა ტკბილი თუ მწარე..
რა კარგი იყო შენი სიტყვა, სადა, მაგარი,
რა წმინდა იყო შენი აღთქმა და შენი მსჯავრი,
რა კარგი იყო ტკივილებზე შენი მალამო,
შენი ნუგეში ისე ტკბილი, ისე საამო...
რა კარგი იყო შენს თფილისში როს ვლიდი ნელა,
და აღვიძებდი ხალხის სინიდისს ვით ბერი გელა,
რა კარგი იყავ წმინდა ფიქრით მუდამ დღე, ღამე,
ცოცხალი წიგნი, გრძელი ტანჯვის ძველი მოწამე...
კარგი იყავი ჩემო კარგო, სულით მაღალი,
არც სიყვარულში, არც ბრძოლაში არ გკვდა ცალი,
წამების ჯვარი სიკვდილამდე ამაყად ზიდე,
და აწ მფარველად დაგვიტოვე შენი სიდიდე...

რ. ლეჩხუმელი.

5 აპრილი 1922 წ. ბერლინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრით—გაძლიერება პროფესიონალურ კავშირებში მისწრაფების რათა უფრო ფართოთ იქნეს დასმული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები.

ჰოლანდიელმა ფიმმენმა გააკეთა მოხსენება მილიტარიზმისა და მოსალოდნელი ომების შესახებ. მოხსენებამ დიდი კამათი და ინტერესი გამოიწვია. მომხსენებელის აზრით, მუშათა კლასმა მომავალში უფრო აქტიური პოლიტიკა უნდა აწარმოოს მილიტარიზმის წინააღმდეგ. მელითონეთა კავშირის თავმ. შვეიცარიელმა ილგმა მოითხოვა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც, თუ ომი მოხდა, ხელთ აიღებს ომის წინააღმოეგ ბრძოლის საქმეს. ამის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: «კონგრესი აცხადებს, რომ შეკავშირებული მუშები ყოველი ღონით, უნდა შეებრძოლონ მომავალში ომს და შეუშალონ ხელი მის დაწყებას, თუ გინდ საყოველთაო გაფიცვაც კი დარჩეს ამისთვის საჭირო. ამის გამო ყველა პროფესიონალური კავშირები, რომლებიც ამსტერდამის ინტერნაციონალში შედიან, ვალდებული არიან წერილობით და ზეპირათ აწარმოონ აგიტაცია-პროპაგანდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამზადონ მუშათა კლასი ომის საწინააღმდეგოთ გამოსვლებისთვის. ამავე დროს კონგრესი მხარს უჭერს საერთაშორისო სეკრეტარიატებს —გაუწიონ ყველგან კანტროლი იარაღის დამზადებას და ეცადონ მის მინიმუმამდის შემცირებას.

შემდეგ კონგრესმა დაამტკიცა გასულ წელს ამსტერდამში არჩეული დროებითი კომიტეტი, დაუმატა მას თითო წევრი საერსაშორისო სეკრეტარიატებიდან და დაავალა ზემო აღნიშნული რეზოდიუციის ცხოვრებაში გატარება.

პირველი მაისობა უცხოეთში.

გერმანიაში პირველ მაისის დღესასწაულმა ფართო ხასიათი მიიღო. ადგილობრივ პარლამენტებში სოციალისტებმა შეიტანეს წინადადება გამოეცხადებიათ 1 მაისი სახელმწიფო უქმეთ, მაგრამ ბუჟუაზიულმა უმრავლესობამ იგი უარყო. მიუხედავათ ამისა მაისობა ყველგან ჩატარდა და გაფიცვაც მას ბრძოლის ელფერს აძლევდა. გერმანიის უმეტეს ქალაქებში მიტინგები და კრებები ორივე სოციალისტურმა პარტიამ ერთათ გამართა: ყველგან ემჩნეოდა, რომ გაერთიანების იდეია პროლეტარიატში ფართოთ იკიდებს ფეხს. ბერლინში, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, დემონსტრაციაში 600 ათას კაცამდე მიიღო მონაწილეობა.

ფრანკფურტში დემონსრაციაში მონაწილეობას იღებდა 100 ათასი კაცი. აქ სამივე პარტია (მეუმრავლესეები, დამოუკიდებელნი და კომუნისტები) და პროფენიონლური კავშირები ერთათ გამოვიდენ. ქალაქის მუშებმა, წინააღმდეგ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, იდღესასწაულეს ეს დღე და არ იმუშავეს.

გამბურგში კომუნისტებმა ცალკე მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელმაც ძლიერ მცირე ხალხი შემოიკრიბა თავის გარშემო და საბრალო ხასიათი ქონდა შედარებით იმასთან, რომელიც პროფ. კავშირებმა და სოციალისტურმა პარტიებმა გამართეს. ამ უკანასკნელში 250 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას.

სოციალისტურ საქსონიაში პირველმა მაისობამ გასაკუთრებითი სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. განხეთქილების შემდეგ, ამ დღეს პირველათ ერთათ გამოვიდენ ყველა სოციალისტური ორგანიზაციები და პროფ. კავშირები.

ლონდონში. მუშათა პარტიამ კომუნისტებთან ერთათ გამართა დიდი მიტინგი და სხვათა შორის გამოიტანა ომის საწინაღმდეგო რეზოლიუცია.

საფრანგეთში. 1 მაისობას არ ქონია ფართო ხასიათი და არც გამოუწვევია აღფრთოვანება. პარიზში და სხვა სამრეწველო ქალაქებში გაფიცვები ამ დღეს ნახევრათ ჩატარდა, თვით პარიზში მოხდა რამდენიმე კრება.

ავსტრიაში. ვენასა და სხვა ქალაქებში სოც. დემოკრატები და კომუნისტები ცალ-ცალკე გამოვიდენ. ვენაში სოც.-დემოკრატიულმა მიტინგმა და დემონსტრაციამ, რომელზედაც ილაპარაკეს ადლერმა, დეიჩმა და სხვებმა, მრავალი ხალხი შემოიკრიბა თავის გარშემო: წინააღმდეგ სურათს წარმოადგენდა კომუნისტების დემონსტრაცია.

იტალიაში. თითქმის ყველგან შეწყდა რკინისგზის მოძრაობა. მილანში სოციალისტებმა და კომუნისტებმა ერთათ გამართეს დემონსტრაცია. ბევრ აღგილას ფაშისტებსა და დემონსტრნტებს შორის მოხდა შეტაკება.

ბრაუნტალი საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტის უკანაკნელ რიცვებში საქართველოში ჩავიდა იულიუს ბრაუნტალი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ ორგანოს, «არბაიტერ ცაიტუნგის» რედაქტორთაგანი; მან დაჰყო ჩვენს ქვეყანაში სამოოთხი კვირა, უმთავრესათ თფილისსა და ბათუმში, აპრილის დამლევს დაბრუნდა ევროპაში. მაისის 11-ს ზემოაღნიშნულ გაზეთში გამოაქვეყნა უკვე პირველი წერილი თავის მოგზაურობის შესახებ, რომელსაც მოყვა მთელი რიგი წერილების საქართველოს აწინდელ მდგომარეობის და ჩვენს ქვეყანაში საოკუპაციო ძალების მოქმედების შესახებ. ამ წერილებმა ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელს დემოკრატიულ ევროპაში. ბრაუნტალი პირველი ევროპიელი სოციალისტია, რომელმაც «საბჭოთა» საქართველო ინახულა და ადგილობრივ გაეცნო ჩვენში «კომუნისტურ» შემოქმედების შედეგებს. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ის ეკუთვნის ვენის ინტერნაციონალს, რომელსაც ბოლშევიზმისადმი შერიგების პოზიციაა უჭირავს; ამავე დროს, ბრაუნტალი საქართველოში პოლიტიკური მიზნით არ წასულა, მას დავალებული ჰქონდა ამსტერდამის პროფესიულ ინტერნაციონალის ბიუროსაგან ევროპიელ მუშების ფულით ნაყიდი წამლების გადაცემა ქართველი ხალხისთვის. მით უფრო დიდის ინტერესით და ნდობით უსმენს მას ევროპის სოციალისტური დემოკრატია. საქართველოს საკითხი ხომ სოციალისტთა და კომუნისტთა საერთაშორისო დავის ცენტრშია შეჭრილი, მის გარეშემო დიდი ბრძოლაა ატეხილი. ჩვენმა მთავრობამ და სოც.-დემოკრ. პარტიამ მრავალი საბუთი გამოაქვეყნა ბოლშევიკების რეაქციონურ ძალმომრეობისა და უნდა ითქვას, რომ მოსკოვმა მათი გაბათილება ვერ მოახერხა, თუმცა იგი ყველაფერს უტიფრათ უარყოფდა ქართველი სოციალიტებს კონტრ-რევოლიუციონერებათ ნათლავდა, რომელნიც ვითომ ქართველ მუშათა კლასმა სამარცხვინოთ განდევნა თავის ქვეყნიდან. მაგრამ მაინც სასურველი იყო, რომ ქართველ ხალხისა და მოსკოვს დავაში მიუდგომელ მოწმეთ და თუ გნებავთ მსაჯულათ დაუინტერესებელი ევროპიელი გამოსულიყო. ამ მიზნით აგერ 14 თვეა განუწყვეტლივ დაჟინებით მოვითხოვთ საქართველოში ევროპიელ სოციალისტ-კომუნისტების შერეულ კომისიის გაგზავნას, მაგრამ ის დღემდე არ შედგა.

და აი ისეთ მიუდგომელ მოწმეთ და მსაჯულათ, რომელმაც საკუთარის თვალით ნახა აწინდელ საქართველოს მდგომარეობა, პირდაპირ საკვირველი სისწორით დააფასა მოსკოვის 1921 წ. თებერვლის ბოროტმოქმედება ჩვენი ქვეყნისადმი, ასწერა ბოლშევიზმის შედეგები საქართველოში და ამ კლასიკურ მაგალითზე უდავოთ გამოააშკარავა ბოლშევიზმის უარყოფითი, ყოველივე შემოქმედებას მოკლებული და ანტიხალხსნური ბუნება.

ბრაუნტალი ახალგაზრდა მწერალია მუშათა წრიდან გამოსული, რომელსაც ახასიათებს მაღალ კულტურასა და თვითგანვითარებასთან ერთათ მუშათა კლასის ფსიხოლოგიის და ყოველდღიურ ჭირ-ვარამის კარგათ ცოდნა. სწორეთ ამ მუშური ფსიხოლოგიით, და მუშათა ფართო მასების ინტერესთა თვალსაზრისით მიუდგა ბრაუნტალი საქართველოს საკითხს და მის მოწმობას სწორეთ ამიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს დააფასა ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა და ყველა ქვეყნის სოციალისტური და არასოციალისტური გაზეთები გამოეხმაურა მის მოწმობას საქართველოს შესახებ. ბევრმა გადაბეჭდა ის საცსებით ან შემოკლებით. კომუნისტური პრესსა გაწყრომატდა, მაგრამ საპასუხოთ სხვა ვერხფერი სთქვა გარდა იმისა, რომ ბრაუნტალს «ანტანტის ჯაშუში» უწოდა.

ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს სრულად მოვიყვანოთ ამხ. ბრაუნტალის წერილები. ვეცდებით ქართველ მკითხველს გავაცნოთ რაც მათში უფრო მნიშვნელოვანია და დამახასიათებელია.

„ავსტრიის მუშების დახმარება საქართველოსთვის“.

«ავსტრიის მუშათა კლასის მიერ დამშეულ რუსეთისათვის შეგროვილ თანხიდან საერთაშორისო პროფ. კავშირთა ბიურომ გამოჰყო 20 მილიონი კრონი (ავსტრიული) საქართვე-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსათვის წამლების შესაძენათ. ერთ ქართველ სტუდენტს ბერლინიდან, რომელსაც ქართულისა და გერმანულის გარდა რუსული, თურქული და სომხური ენების ცოდნა ძლიერ უწყობდა ხელს თარჯიმნის როლში, ამხანაგ ჯანდარელს და მე მოგვანდო ამსტერდამის ბიურომ ტრანსპორტის (20 დიდი ყუთი—220 კილოგრამი წონით) გაყოლა და მედიკამენტების ქართული საავათმყოფოებისა და ამბულატორიებისთვის განაწილება». ასე იწყებს ბრაუნტალი თავის პირველ წერილს შემდეგ ის ასწერს მოგზაურობას ვენიდან სტამბოლამდე. მოსკოვის წარმომადგენელმა ვენაში, ბრონსკიმ მათ უარი უთხრა ვიზია მიცემაზე. მოსკოვში ჩიჩერინისთვის გაგზავნილი დეპეშა უპასუხოთ დარჩა. ამისდა მიუხედავათ ის ტრანსპორტითურთ სტამბოლში მიდის და აქ ამიერ-კავკასიის «საბჭოთა რესპუბლიკების» წარმომადგენლობას სთხოვს ვიზას. ვიზას აძლევენ, მაგრამ თვითეულ პასპორტში ახდევინებენ ხუთ-ხუთ თურქულ ლირას, სულ 10 ლირას, რაც 50 ათას ავსტრიულ კრონს შეადგენს. ბრაუნტალი უხსნის კომუნისტების სტამბოლელ აგენტებს, რომ მედიკამენტები ავსტრიის მუშების გროშებითაა შეძენილი, რომ მგზავრობის ხარჯებიც იმავე მუშების ჯიბიდან იფარება; რომ თვით მეფის იტალიის და მეფის საბერძნეთის საკონსულოებმა, მიიღეს რა მხედველობაში მისიის ჰუმანიური ხასიათი, ვიზის ფული სრულიად გვაპატიეს და სხვ., მაგრამ ამ მოსაზრებებმა არავითარი გავლენა არ იქონია «სოციალისტური რესპუბლიკების» წარმომადგენლებზე...

შემდეგ ბრაუნტალი მოგვითხრობს, თუ როგორ მოეწყო თბილისში წამლების და საექიმო ინსტრუმენტების განაწილება. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ თბილისის რევკომი დასთანხმდა, რომ ტრანსპორტის გასანაწილებლად მოეწვიათ კომისია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, საექიმო დარგში მომუშავეთა პროფ. კავშირის, საქართველოს პროფ. კავშირების, ქართველ ექიმთა—საზოგადოების წარმომადგენელთაგან და საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდიუმისაგან შემდგარი. ამ კომისიამ შეიმუშავა განაწილების გეგმა. მთავრობის სურვილი იყო, რომ მედიკამენტები გადაგვეცა ბილშევიკების ხელში მყოფ აფთიაქებისათვის, მაგრამ ამაზე უარი ვუთხარით. მთელი ტრანსპორტი გადაეცა წითელ ჯვარს, რომელიც გაანაწილებს მას კომისიის მიერ შედგენილ გეგმის თანახმად საავათმყოფოებს შორის და ანგარიშს გადაუგზავნის ამსტერდამის ბიუროს. ბოლშევიკურ მთავრობას არ აქვს უფლება განაწილების საქმეში ჩაერიოს, ის მხოლოდ თვალყურს ადევნებს, რომ განაწილება წინასწარ შემდგარ გეგმის თანახმად მოხდეს.

«ამგვარათ დელეგაციამ აასრულა თავისი პირადი დავალება»—ამბობს ავტორი,—«მაგრამ ამას გარდა მას შეძლება მიეცა გასცნობოდა იმ ქვეყნის შინაურ პირობებს, რომელსაც 1917 წლის შემოდგომიდან 1921 წლის თებერვლამდე სოციალ-დემოკრატიული მთავრობა განაგებდა, ხოლო უკანასკნელ დატიდან დღემდე კომუნისტური მთავრობა პყრობს. მე მინდა აქ გადაუჭარბებლათ და ობიექტიურათ სრულის სისწორით აღვნიშნო რამოდენიმე წერილში ყველაფერი ის, რაც ჩვენ ჩვენი თვალით ვნახეთ, ან საბჭოთა მმართველობის გამოქვეყნებულ გამოცემებისა და კომუნისტური პრესიდან შევიტყვეთ. ამ მოთხრობას, რომელსაც გაწამებულ ქართველ ხალხს ვუძღვნით, ჩვენის ფიქრით ექნება აგრეთვე საერთო ინტერესი ბოლშევიკური პრაქტიკის გასაცნობათ. თუ, საბჭოთა რუსეთში მათ შემოქმედებას აფერხებდა ომი, ბლოკადა, სამოქალაქო ომი, ბუნებრივი კატასტროფები, როგორც ირწმუნებიან,—საქართველოში, რომელსაც ზემოხსენებული შემაფერხებელი მოვლენები ასცდა, მათ შეძლება ჰქონდათ დაემტკიცებიათ თავისი შემოქმედებითი უნარი. როცა 1921 წლის თებერვალში საქართველო რუსის ჯარებმა დაიპყრეს, ის წარმოადგენდა, ეკონომიურის მხრით, მართალია, მძიმე პირობებში მყოფს, მაგრამ ამისდა მიუხედავათ აღორძინების გზაზე შემდგარ ქვეყანას და ოკუპაციის დროიდან მას არ უნახავს არც სამოქალაქო ომი, არც ბლოკადა. მის ბოლშევიკურ მთავრობას, ისე როგორც რუსეთისას, ევროპის სახელმწიფოებმა უარი უთხრეს ფაქტიურ ცნობაზე, მაგრამ, მასთან ვაჭრობას და ურთიერთობას გარედან ხელს არავინ უშლის. ჩვენ გვინდა გამოვიკვლიოთ—შესძლო თუ არა ბოლშევიზმმა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიურად და კულტურულად დაწინაურება, ნამდვილ პროლეტარულ თავისუფლებაზე დამკვიდრებულ წესწყობილების შექმნა. მაგრამ პირველი ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ მალარიის ეპიდემიის შესახებ, რომელიც თავს დაატყდა ხალხს და რომელიც მას განადგურებით ემუქრება, თუ საჩქაროთ ფართო დახმარებამ არ მოუსწრო. ავსტრიის მუშათა კლასმა მის მიერ გაგზავნილ მედიკამენტების სახით აასრულა თავისი ვალი და ქართველმა მუშებმა ეს დახმარება კიდეც დაიფასეს მხურვალე სამადლობელი სიტყვებით. მაგრამ რამდენათ ძვირფასიც უნდა იყოს ეს დახმარება საფრთხეში მყოფ საქართველოსათვის, ის მაინც არაა საკმარისი კატასტროფის თავიდან ასაცდენათ. საჭირო იქნება მთელი კულტურული კაცობრიობის საერთო დახმარება ამ ხალხის დაღუპვისაგან გადასარჩენათ».

„საქართვ. მუშათა კლასის მადლობა.

ამხანაგ ბრაუნტალს გადასცეს თფილისში და ბათუმში საქართველოს მთავარი და უმნიშვნელოვანესი საწარმოო დარგების მუშათა დეპუტაციებმა შემდეგი მიმართვები, რომლებიც ხელმოწერილია თვითეული მოხსენებული მუშათა ჯგუფის წარმომადგენელთა სრული სახელით და გვარით.

ძვირფასო ამხანაგო!

თფილისის უმთავრეს წარმოებათა მუშების სახელით, რომლებმაც გაიგეს თქვენი ჩამოსვლის ამბავი, მოგესალმებით თქვენ, როგორც საყვარელ ძმას. მხურვალე მადლობას მივუძღვნით ამსტერდამის პროფესიონალურ კავშირების ინტერნაციონალს, რომელიც ერთ-ანებს გათვითცნობიერებულ და კულტურულათ მაღლა მდგომ მუშათა კლასს და რომელიც წარმოადგ ნს უმაღლეს საკაცობრიო იდეალების და მისწრაფებების ჭეშმარიტ მსოფლიო სიმაგრეს. ჩვენ მადლობას ვუძღვნით ამსტერდამის ინტერნაციონალს იმ მორალურ და მატერიალურ დახმარებისათვის, რომელსაც ის გვიწევს მედიკამენტების მოწოდებით ჩვენი ჭრილობების გასაკურნავათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მალე დადგება დრო, როდესაც დღეს მიჯაჭული საქართველოს მუშათა კლასი, ისევ დაიბრუნებს ბრძოლით თავის თავისუფლებას და მაშინ შეიძლებს საქმით დაუმტკიცოს ევროპის პროლეტარიატს თავისი მადლობა.

გაუმარჯოს პროფესიონალურ კავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალს!

თფილისი, 12 აპრილი 1922 წ.

რკინის-გზის მთავარ სახელოსნოების მუშები; რკინის-გზის დეპოს მუშები; ტრამვაის მუშები; ელექტრონის სადგურის მუშები; არსენალის მუშები; თამბაქოს მუშები; სტამბის მუშები; ადელხანოვის ტყავის ქარხნის მუშები.

* * *

ძვირფასო ამხანაგო ბრაუნტალ!

ჩვენ, ქალაქ ბათუმის და ბათუმის ოლქის ანტი-კომუნისტური საპროფესიო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უმხურვალეს მადლობას გიძღვნით იმ დახმარებისათვის, რომელსაც თქვენ უწევთ საქართველოს მუშათა კლასს და მოსახლეობას ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალის, ევროპის მუშათა კლასის ამ უმაღლეს ორგანოს დავალებით. მართალია ჩვენ ვშიშობთ, რომ მედიკამენტები უკლებლივ არ მიაღწევენ იმათთან, ვისთვისაც არიან გამოგზავნილი, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ის მხურვალე თანაგრძნობა, რომლის გამოხატულებას ჩვენ ამ დახმარებაში ვხედავთ. იმ დროს, როცა მთელი ქართველი ერი საშინელ დღეებს განიცდის წითელ იმპერიალისტურ ჯარების და ბოლშევიკების დაყენებულ აგენტთა (რომელიც თავის-თავს „საქართველოს მთავრობას“ უწოდებენ) ბატონობის ქვეშ, ეს ძმური დახმარება გვარწმუნებს, რომ ქართველი მუშათა კლასი განმარტოებული არ არის. ის გვაძლევს ჩვენ იმედს, რომ ყველა მშრომელთა და ჩაგრულთა დამცველი ევროპის პროლეტარიატი ვბლაც აღიმაღლებს ხმას რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და დაიცავს საქართველოს მუშათა კლასს და გლეხობას ფიზიკური განადგურების საფრთხესაგან.

ჩვენი სურვილი იყო, ამხანაგო ბრაუნტალ, რომ ჩვენი მადლობა ევროპის პროლეტარიატის საჯარო კრებაზე გამოგვეთქვა. მაგრამ დღეს ეს ჩვენთვის შეუძლებელია. საქართველოს ჩეკები და ხაპყრობილნები სავსეა ჩვენი ამხანაგებით. მადლობის საჯაროთ თქმა გამოიწვევდა უთვალავ მსხვერპლს. და ჩვენც უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ წერილობით მოგახსენებთ იმას, რის საჯაროთ თქმის ნებას არავინ მოგეცემს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი დაუღალავი ბრძოლით და ევროპის პროლეტარიატის ძმური დახმარებით შეეძლებთ ჩვენი თავისუფლების კვლავ მოპოვებას. და მაშინ შეძლება გვექნება ღირსეულათ გადაუხადოთ მადლობა ევროპის მუშებს.

ბათუმი. 20 აპრილი, 1922 წ.

რკინის-გზელთა წარმომადგენელნი; ქალაქის თვითმართველობის მუშათა და მოსახლეობურეთა წარმომადგენელნი; საბაჟო უწყების მუშათა წარმომადგენელნი; მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელნი; ელექტრონის სადგურების მუშათა წარმომადგენელნი; სტამბის მუშების წარმომადგენელნი.

ორივე მიმართვა გადაეგზავნა ამსტერდამის საპროფესიო ინტერნაციონალის ბიუროს. ჩვენ არ ვაქვეყნებთ სახელ-გვარს იმ ამხანაგების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ზემოხსენებულ მუშათა ჯგუფების სახელით ხელს აწერენ მიმართვებს, რადგან არ გვინდა, რომ მათი თავისუფლება საფრთხეში ჩავაყენოთ».

„კომუნისტური საქართველო".

1. მალარიის ეპიდემია.

«სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც რუსეთის წითელი ჯარები სომხეთ-აზერბეიჯანის მხრით და ჩრდილო კავკასიის ვიწრო უღელტეხილებით შემოიჭრენ აღორძინების გზაზე შემდგარ საქართველოში და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ შეგნებული, ძალღონით აღსავსე ქართველი ხალხი მოსკოვს დაუმორჩილეს. ბოლშევიკურ ბედნიერებისაგან, რომელიც ქართველებს ხიშტის წვერზე მიუტანეს, ხალხმა ჯერ-ჯეროობით მხოლოდ ერთი რამ იგემა: ეს რამოდენიმე თვეა საქართველო შეიპყრო სხვადასხვა ეპიდემიებმა და შიმშილმა ისეთი კატასტროფიული ხასიათი მიიღო, რომლის მსგავსი მის ისტორიას არ ახსოვს». ასე იწყებს ბრაუნტალი თავის მეორე წერილს, იმავე «არბაიტარ-ციტუნგში» (17 მაისი). ადგილობრივ შეკრებილ სტატისტიკური ცნობებით, მალარიის სპეციალისტების მოწმობით, თვით კომუნისტურ წყაროებით ავტორი ამტკიცებს, რომ მალარიის ეპიდემია საშინლად გაიზარდა ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ. მაგ., 1918 წ. რკინის-გზის მოსამსახურეების მხოლოდ 21,7% იყო ამ სენით შეპყრობილი, 1921 წ. კი—40,4%. საბურთალოში 1922 წ. იანვარში მცხოვრებთა სისხლის გასინჯვას გამოუაშკარავებია, რომ მათი 63% მალარიითაა ავათ და სპეციალისტების მოწმობით მომავალ წელში მოსალოდნელია მთელ მოსახლეობას მოედოს სენი. ასევეა სოფლათ.

«. . . რას უნდა მივაწეროთ ის გარემოება», ამბობს ავტორი, «რომ მებრძოლ საბჭოთა ჯარებს თან მოჰყვა სენი და შიმშილი: შემთხვევას თუ აუცილებლობას? კატასტროფიული შიმშილი, საქართველოშიაც, ნაწილობრივ ცუდი მოსავალითაა გამოწვეული. ეგეევ არ ითქმის მალარიის შესახებ.» შემდეგ ბრაუნტალი მოუთხრობს ევროპიელ მკითხველს, რომ საქართველო თავისი ბუნებრივი პირობების წყალობით მალარიიანი ქვეყანაა, რომ ეს სენი იქ მუდამ მძვინვარებდა, მაგრამ თვით ცარიზმის დროსაც კი მისი საბრძოლველი საშუალება, ქინა-ქინა, მცხოვრებთათვის შედარებით ადვილი ხელმისაწდომი იყო. მალარიიან ადგილების მცხოვრებლები ოკუპაციამდე დიდძალ ქინა-ქინას ხმარობდენ. შემდეგ ავტორს აწერილი აქვს ქართველ მკითხველისთვის კარგად ცნობილი მოვლენა: საოკუპაციო მმართველობის მიერ აფთიაქების «სოციალიზაცია» და მისი შედეგი—წამლების და მათ შორის ქინა-ქინის გაქრობა. ბაზარზე ქინა-ქინა გაქრა, თვით ბოლშევიკურმა ჯანმრთელობის ბიუროკრატიამ მისი შეძენა ვერ შესძლო და ამნაირად «სოციალიზაციის» წყალობით მედიკამენტები მცხოვრებთათვის მიუწდომელი გახდა. «გასულ წელს მალარიასთან საბრძოლველათ საჭირო იყო არა ნაკლებ 5 ათასი კილოგრამი ქინისა, მაშინ როდესაც მოიპოვებოდა მხოლოდ 200 კილოგრამი. ამას ამბობს სრულიად გულახდილათ ფინანსთა კომისარი სვანიძე თავის მოხსენებაში, რომელიც მან 1921 წ. ოქტომბერში სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა და სადაც ის ასწერს, როგორ მოუსპო თავისი «ბრძნული» პოლიტიკით ჯანმრთელობის კომისარიატმა ხალხს ქინა-ქინის და საზოგადოთ წამლების შოვნის საშუალება, როგორ დაამშია კურორტებზე ავათმყოფები და სხვა; სვანიძე მოითხოვს ამ დაწესებულების გაუქმებას. «ნამდვილათ კი, განაგრძობს ბრაუნტალი, ის დღემდე არ გაუუქმებიათ; მისი გატაცება კურორტებზე «ზრუნვით» ოდნავათაც არ შემცირებულა, მაგრამ ოდნავათაც არ გაზრდილა მისი მზრუნველობა მედიკამენტების შოვნის და ავათმყოფების მოვლის საქმეში. ჩვენ ვინახულეთ თფილისის და ბათუმის ყველა საავათმყოფოები და ამბულატორიები და დავკითხეთ მრავალ ექიმებს, რომლებმაც ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ მართლაც არ მოიპოება სრულიად ელემენტარული და აუცილებელი წამლები»... «მაგრამ ქინის უქონლობა განსაკუთრებით კატასტროფიულია. მალარიის გავრცელებას აღარაფერი აფერხებს და მალარია კი ხელს უწყობს სხვა სენებს—როგორიცაა ტიფი, ხოლერა, ჭლექი და სხვ. «მას მოჰყავს აჭარის ექიმის გაგოს მოწმობა, რომლის ცნობით 1922 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ბათუმის საავათმყოფოში 537 ტიფით ავათმყოფიიწვა. «ბათუმში ექიმმა გაგომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამათვალიერებია პარტახტინი ტიფის ბარაკი, საცა 60-ზე მეტი ავათმყოფი იყო და მითხრა—თითქმის ამაზე მეტი მოგვდის ყოველ კვირაშიო!»

ქინა-ქინის სრულ უქონლობას ზედ ერთვის შიმშილი. საქართველოს ყველა მცხოვრებნი—მეტათ თუ ნაკლებათ შიმშილობენ, 450,000 კაცი კი პირდაპირ დამშეულია, სრულიად უსაზრდოოთაა. სარჩოს ნაკლებობა სხეულს ასუსტებს და ხელს უწყობს მალარიის გავრცელებას.

«ამგვარად საშინელ ციების გავრცელების ყოველგვარი შემაფერხებელი პირობები მოსპობილია. თუ გასულ ზაფხულს, როგორც საუკეთესო ექიმი-სპეციალისტები მოწმობენ, ნახევარი მილიონი მცხოვრები იყო ავათ მალარიით, მომავალ ზაფხულში ავათმყოფთა რიცხვი 750,000-მდე ავა.» ამას თან დაემატება სხვა საშინელ სენთა გავრცელება-გაძლიერება. «შემაძრწუნებელი ჭეშმარიტებაა, რომ თუ საქართველოს დროზე დიდი მასშტაბით დახმარება არ მივაშველეთ, მისი მოსახლეობა რამოდენიმე წელიწადში **სრულიად ამოწყდება.**» ბრაუნტალის ცნობით ამ წლისათვის საქართველოს დასჭირდება არა ნაკლებ 7,000 კილოგრამი ქინა-ქინა. სად არის შველა? «შველის მიწოდება შეუძლია მხოლოდ ევროპის და ამერიკის დარაზმულ ჰუმანიურ ძალებს; და ეს **შესაძლებელია.** საკმარისია, რომ ორივე კონტინენტზე მხოლოდ 7 მილიონმა კაცმა ერთგვარი **ქინა-ქინის გადასახადი** დაიდონ, თითოეულმა თითო გრამის გადახდა იკისროს, რომ კატასტროფა აცილებულ იქნას. ხოლო თუ არავინ მიაწოდა დახმარება საქართველოს, ის აუცილებლად დაიღუპება.»

2. შიმშილი და მეურნეობის დაშლა.

(„არბ.-ცაიტუნგი", 19 მაისი 1922 წ.)

როცა ჩვენ შიმშილზე ვლაპარაკობთ, ამბობს ბრაუნტალი, სახეში გვაქვს შიმშილის არა ის მცნება, რომელსაც უკანასკნელ დრომდე იყენენ ჩვეული ევროპიელები, არა საკვები სურსათის ნაკლებობა, არამედ სრული დამშევა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, საკვები სურსათის სრული უქონლობა, ე. ი. ის მცნება, რომელიც ჩვენ უკანასკნელ დროს რუსეთში დატრიალებულმა ამბებმა შეგვათვისებია. საქართველო ამ დარგის შიმშილის კარზე დგას. პროვინციების მთელ რიგს, რომელთა მოსახლეობა 450,000 კაცს უდრის, გასული წლის ზაფხულში ეწვია გვალვა. მართალია, აქ მას ისეთი გამანადგურებელი შედეგები არ მოჰყოლია, როგორც ვოლგის მხარეში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მას ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლები მოსავალი მოყვა. დელეგაციას განზრახვა ჰქონდა დამშეული რაიონები დაეთვალიერებია, მაგრამ კომუნისტურ ხელისუფლების მატარებლებმა, სახელდობრ დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ—ფ. მახარაძემ საკმაო საბაბები გამონახა, რათა ეს განზრახვა ჩაეშალა. დაბრუნებისას ბრაუნტალს შეძლება მიეცა პირადათ მისულიყო სოფ. ქედაში (ბათუმის ოლქში), რომელიც ერთ-ერთ დამშეულ რაიონს ეკუთვნის. აქ ის დარწმუნდა, რომ გლეხებს არ გააჩნია არავითარი სხვა საზრდო, გარდა მწვანილის და ბალახისა. არამც თუ საკვები სურსათი, სათესი მასალაც სრულიათ არ მოეპოვებათ. მეზობელ სოფლებში, გლეხების მოწმობით, საქმე უარესათ თუ არა, უკეთესათ არ არის. «ამ ნაირად მრავალი ასი ათასი ქართველი უკვე შესდგა იმ საშინელ გზაზე, რომელიც უკვე განვლეს მრავალმა მილიონმა რუსის გლეხებმა».

და აქაც ბრაუნტალი, როგორც მალარიის შესახებ, სვამს კითხვას: მხოლოდ გვალვას უნდა მივაწეროთ ქართველი ხალხის დამშევა, თუ სხვა ფაქტორებმაც შეუწყვეს მას ხელი? და უპასუხებს: თუ რუსეთის უმაგალითო დამშევა მარტო გვალვას არ მიეწერება, მით უფრო ნაკლები საბუთი გვაქვს, რომ მხოლოდ გვალვას მივაწეროთ საქართველოს დამშევა, რადგან აქ გვალვა საერთო მოვლენა არ ყოფილა, ეს ბუნებრივი უბედურება ასცდა ქვეყნის საუკეთესო, უნაყოფიერეს მხარეებს და ამასთან საქართველო ხომ არ არის მოწყვეტილი ქვეყნიერებას, როგორც სამარა ან ბაშკირია; მას აქვს ორი კარგი ნავთსადგური, საიდანაც სურსათი ძლიერ ადვილი მისაწვდენია; ის კი არა, თვით ბათუმში და თფილისში ბაზრის მრავალი საწყობები სავსეა სურსათითო. დამშეულთა დამხმარე კომიტეტის გამოანგარიშებით დამშეულ საქართველოს გამოსაკვებათ და სათესლე მასალით უზრუნველსაყოფად საკმარისია 2 მილიონი ფუთი ხორბალი. ამ სურსათის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტანა არ უნდა გასჭირვებოდა თვით დარიბ საქართველოსაც, რომლის მრავალი რაიონი წინადაც ყოველ წლიურად, შემოტანილი პურით იკვებებოდა. «ნამდვილათ შიმშილის კატასტროფის გადამწყვეტი მიზეზი სრულიადაც არ არის გვალვა, არამედ, როგორც ჩვენ ეხლავ დავამტკიცებთ, მეურნეობის და სახელმწიფო ფინანსების სრული დანგრევა, რომლის წყალობით სახელმწიფო აპარატს ყოველივე უნარი ერთმევა მოსახლეობის არსებობის უზრუნველ საყოფათ რაიმე, თუ გინდ სრულიად უბრალო, ელემენტარული ზომები განახორციელოს».

«საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის რუსულ სატრაპიათ გადაქცევამ ერთის დაკვრით გასტეხა ქვეყნის საწარმოო ძალები. ჯერ გლეხობამ, ამ გადამწყვეტმა საწარმოო ფაქტორმა—საქართველო ხომ აგრარული ქვეყანაა—უარი უთხრა სახელმწიფოს თავის შრომაზე; გლეხებმა შეამცირეს დასამუშავებელი მიწა, ნაწილობრივ შიშით, რომ მათ შრომის ნაყოფს წაართმევდენ, ნაწილობრივ მათთვის ძალით თავზე მოხვეულ რეკვიზიციადმი ზიზღის გამო.» აქ ავტორს თავისი დებულების დასამტკიცებლათ მოჰყავს სასურსათო კომისარიატის ხელმძღვანელის, ერქომაიშვილის მოწმობა. შემდეგ ის ფინანსთა სახალხო კომისარის სიტყვებით (სვანიძის მოხსენება სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობაზე, ტფილისელ «ტრიბუნის» 164 №-ს ანგარიშით) აჩვენებს ევროპიელ მკითხველებს, თუ როგორ დაეცა სახელმწიფო მამულების შემოსავალი, რომელიც მენშევიკების დროს, სვანიძის სიტყვით, ბიუჯეტის დიდ ნაწილს ფარავდა, ხოლო ბოლშევიკების დროს, როგორც იგივე სვანიძე ამბობს, არამც თუ არაფერს იძლევა, პირიქით 50 მილიონ ოქროს მანეთს ითხოვს თავის საჭიროების დასაფარავადო. «ამნაირადო, დაასკვნის ბრაუნტალი, ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ბიუროკრატიის სრულ უუნაროობას აგრეთვე აგრარულ მართველობის სფეროში».

შემდეგ ის ოფიციალური სტატისტიკით ამტკიცებს, რომ შავი ქვის წარმოება ჭიათურაში სრულიად შეწყდა წითელი ჯარების შემოსვლის შემდეგ, საგრძნობლად შემცირდა უკვე დამზადებულის გაზიდვა ევროპაში; ტყიბულის ნახშირის წარმოების ნაყოფიერება კი ერთიათათ დაეცა. ჟურნალ «კავშირის» სტატისტიკური ცნობებით ერთი მუშის შრომის საშუალო დღიური ნაყოფიერება რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს დაპყრობის შემდეგ დაახლოვებით $^1/_3$-ზე ჩამოვიდა 1921 წლის იანვართან შედარებით.

«და თუ სასოფლო მეურნეობა, შავი ქვის და ნახშირის წარმოება განადგურდა, რით უნდა იარსებოს საქართველომ? წარმოების ამ დარგების გარეშე მას ხომ მნიშვნელოვანი აღარაფერი გააჩნია». შეიძლება კიდევ ლაპარაკი რკინის-გზის სახელოსნოებზე თფილისში, ხაშურში, სამტრედიაში და ბათუმში. «ჩვენ შევძელით მხოლოთ ბათუმის სახელოსნოების ნახვა. ჩვენ იძულებული გავხდით ხელი აგვეღო უდიდეს სახელოსნოების დათვალიერებაზე თფილისში, რადგან მუშების დეპუტაციამ გვამცნო, რომ ამ სახელოსნოების მუშებს გადაეწყვიტათ ჩვენი მისვლა, რათაც არ უნდა დამჯდარიყო ეს, დემონსტრაციათ გადაექციათ კომუნისტურ მთავრობის წინააღმდეგ და ამსტერდამის ინტერნაციონალის სასარგებლოთ, რაიცა ჩვენთვის არ იყო სასურველი, რადგან ჩვენი მისიის მიხედვით გავურბოდით ყოველივე პოლიტიკურ აქტში მონაწილეობას. ამას გარდა ჩვენ ვერ ვიკისრებდით პასუხისმგებლობას მუშების მრავალრიცხოვან დატუსაღებისათვის, რომელსაც ეს დემონსტრაცია გამოიწვევდა. ბათუმის სახელოსნოებმა კი ჩვენზე ძლიერ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინეს.» აქ ავტორი ასწერს იმ უმწეო მდგომარნობას, რომელიც საოკუპაციო მართველობამ შექმნა საქართველოს რკინის-გზაზე. ვაგონები, ორთქლმავალები, ლიანდაგი ისეთ მდგომარეობაშია, რომ კაცი ვერც კი წარმოიდგენს, თუ საკუთარი თვალით არ უნახავსო. ბრაუნტალი დაწვრილებით ასწერს ვაგონების შინაგან მორთულობის გაბინძურებას, გაფუჭებას, ხშირ კატასტროფებს და სხვ. უკეთეს მდგომარეობაშია კვირაში ორჯერ თუ სამჯერ თფილის-ბათუმს შორის მიმავალი «ექსპრესი» მატარებლის ვაგონები, რომელსაც ხალხი «სპეკულიანტების» მატარებელს უწოდებსო. მაგრამ ის ჩვეულებრივ მომაკვდავისთვის მიუწდომელია, რადგან მის ბილეთს ხუთჯერ მეტი ფასი აქვს, ვინემ ჩვეულებრივი მატარებლისას. რომ საქართველოს რკინის-გზები ერთი წლის განმავლობაში ასე გაოხრებულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაში დანაშაული მარტო ადგილობრივ მართველობას არ უძევსო. მოსკოვის ცენტრალურმა რკინის-გზის მართველობამ, რომელსაც საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მთელი ამიერკავკასიის ხაზი დაუქვემდებარეს, მოძრავი შემადგენლობის უდიდესი ნაწილი, საუკეთესო ვაგონები და ორთქლმავალები, უსასყიდლოთ გარეკა რუსეთში და საქართველოში უვარგისები დასტოვა. ასეთ პირობებში მით უმეტეს აუცილებლად უნდა მიეჭნიათ ყველა ადგილობრივ მუშა ძალების გამოყენება სარემონტო მუშაობისათვის.» მაგრამ ბათუმის სახელოსნოების დათვალიერებამ ავტორი დაარწმუნა, რომ ამაზე არავინ ზრუნავს. «ჩვენ პირდაპირ გაგვაოცა იმ გარემოებამ, რომ ბათუმის სარემონტო სახელოსნოებში სერიოზული მუშაობის კვალიც ვერ ვნახეთ. ერთ ორთქლმავალთან ორი-სამი მუშა მუშაობდა.

მრავალ დაზგებთან 5 მუშის მეტი არ იყო; სამჭედლოში—6 კაცი ვნახეთ, დიდ სადურგლოში მხოლოდ სამი. გაკვირვებული, შევეკითხე წარმოების კომისარს, რომელიც ჩვენ გვახლდა—რამდენი მუშა მუშაობს სულ მეთქი. «93-ია», მიპასუხა, «მაგრამ დღეს აქეთ-იქით არიან მივლინებულია.» როცა შევეკითხე, რატომ სავსებით არ იყენებენ წარმოების ნაყოფიერებას, რატომ მეტი მუშა არ მუშაობს, რატომ რიგ-რიგობით მუშაობა არაა შემოღებული, მან ვერავითარი პასუხი ვერ მომცა. რადგან ის ვერ მეტყოდა გულახდილად, რომ სწორედ საუკეთესო კვალიფიციური მუშები, რომლებიც ქართველ სოციალ-დემოკრატიის მოწინავე რაზმს შეადგენენ, მეტეხის, ორთაჭალის ციხეების და ჩეკების საკანებში ჰყრიან და წარმოებისათვის მოუხმარებელი არიან.» «ის ჭეშმარიტება, რომ ასეთ პირობებში ერთ მშვენიერ დღეს რკინის გზის მთელი წარმოება სავსებით უნდა დადგეს, ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ რუსეთიდან საოკუპაციო ჯარებს შემოყოლილ რევოლიუციის «სპეცებს», რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და წარმოებას დაპატრონებიან.»

(შემდეგი იქნება)

გამარჯვებული ფრონტი.

(წერილი დაპყრობილ საქართველოდან)

ბევრი, ძალიან ბევრი გაგვგონია ამხანაგო მკითხველო, კომუნისტების სამეფოებში. ყოველი მოვლენის გამო ისინი ფრონტს აცხადებენ. თუ გახსოვთ, დაიწყეს ტილების წინააღმდეგი ფრონტი და მას აქეთ ფრონტი ფრონტს მოსდევს. სურსათის შესაკრები (იგულისხმე წასართმევი) ფრონტი, ტრანსპორტის აღსადგენი ფრონტი, სათბობ მასალის ფრონტი, ეპიდემიასთან ბრძოლის ფრონტი და სხვა. მაგრამ ყველა ეს ფრონტები თავდებოდა და თავდება სიმშილობის ფრონტით, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრით თავდება ადამიანთა ურთიერთჭამის წინააღმდეგ ფრონტით.

მხოლოთ ერთ ფრონტზე არიან ეს სწორუპოვარი «რევოლიუციონერები» მუდამ გამარჯვებული. ერთად ერთ ფრონტზე უღიმისთ ბედი ამ უებრო სოციალისტებს. ეს გახლავს თავისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ფრონტი თავის ჩეკა-სატუსაღო-სასაკლაოებით, ამ ფრონტზე მათ ბადალი არ ყავსთ.

მათ მიერ გაბედნიერებულ ჩვენ სამშობლოშიაც კომუნისტები წარმატებით მხოლოდ ამ ფრონტზე მუშაობენ. ყველა მათ მიერ გამოცხადებული ფრონტები აქაც შიმშილის ფრონტით გათავდა, ხოლო თუ ეს უკანასკნელი კაცის მძორის ჭამიობის ფრონტათ არ იქცა, ეს მათი ბრალი არაა, ამაში ბრალი ქართველი ერის კულტურას მიუძღვის. სულ სხვაა ერის თავისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ფრონტი. აქ მათ არ იკმარეს სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების და სხვა «ბურჟუაზიულ» თავისუფლების უხეშათ ჩაკვლა, მათ აქ თავისუფალი აზრი და თვით თავისუფალი ფიქრიც კი აკრძალეს. ჩეკა თავი ი ლეგიონი თანამშრომლებით და საეკზეკუციო რუსული პოლკებით, ოკა თავისი პოლიტბიუროთი (იგივე ჩეკა), საოკუპაციო მთავრობა თავისი ნაკაჩაღარი კომისრებ-მილიციონერებით, კომპარტიის ცეკა თავისი კომიაჩეიკებით, ყველა ესენი ერთმეორეს ექიშპებიან ქართველი დემოკრატიის, განსაკუთრებით მისი სოციალისტური ნაწილის დევნაში. რესპუბლიკის ყველა სატუსაღოები სავსეა ქართველი მუშებით, გლეხებით და ინტელიგენტებით, მაგრამ ერთხელვე გამარჯვე-

n 276/8
F1294/1 = F11914
F 1294/1
1922
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ფრონტი თანდათან მეტ ენერგიას იჩენს და ჩხრეკა დატუსაღებაც უფრო გაძლიერებული ტემპით გრძელდება.

გენუის მოლოდინში რუსეთში ჩეკები გააუქმეს. სამაგიეროთ, იქ უსაქმოთ დარჩენილი მაძებრები და ჯალათები ჩვენში ჩამოიყვანეს და არსებული ჩეკები გააძლიერეს. ამასაც არ დასჯერდენ და ერთი ახალი ამიერ-კავკასიის ჩეკაც დაარსეს თბილისში, რომელმაც მოფინა თავის აგენტებით სამივე რესპუბლიკები და შეუდგა მოქმედებას.

იყვენ გულუბრყვილონი, რომლებიც ფიქრობდენ, რომ გენუის გახსნის დღეებში ჩვენშიაც გააუქმებდენ ჩეკას, გააღებდენ ციხის კარებს და საერთოთ უმიზეზო დატუსაღებას თავს დაანებებდენ, მაგრამ მოხდა სულ წინააღმდგი.

აპრილის პირველ რიცხვებში გააძლიერეს მთელ საქართველოში ჩხრეკა-დაპატიმრება. ისედაც ავსებულ ციხეებს ყველგან ასობით უმატებენ სულ ახალ-ახალ ჯგუფებს, უმთავრესათ მუშებისას. ციხეებსა და ჩეკის სარდაფებში მუშები ერთი მეორეზეა მიწყობილი თევზებივით, ხოლო მათი ცოლ-შვილი ჭიშკართან დგანან რიგში, რომ თავის ტუსაღთ პური და მწვანილი მიაწოდონ, რომ შიმშილით მაინც არ მოუკვდესთ, სანამ სახადი კიდევ არ შეყრიათ. ძველ ტუსაღების ცოლ-შვილს ახლებისაც მიემატა და გადიდდა ვაი და ვიში. ზოგი «კეთილი» კომუნისტი, უფრო კი მათი ცოლები, აიმედებენ დატუსაღებულთა ოჯახებს: ნუ სწუხართ, 10 აპრილის შემდეგ ყველას გაანთავისუფლებენ, ეს მხოლოთ სიფრთხილისათვის არის, რომ გენუის გახსნის გამო გაფიცვები არ მომხდარიყო. როცა 10 აპრილის «სიცხემ» გაუარათ, მართლაც დაუწყეს გამოშვება ცოტ-ცოტაობით, მაგრამ აქ უცბათ გაახსენდათ, რომ პირველი მაისი ახლოვდებოდა და გაშვების მაგიერ ისევ დატუსაღება დაუწყეს, მხოლოდ პირველი მაისის შემდეგ ჩეკას 26 მაისი გაუჩდა და ამიტომაც მისი სატუსაღოების კარებები შემსვლელთათვის უფრო ფართოთ იღება, ვიდრე გამომსვლელთათვის. თვით ციხეებში კი ისევ ვიწროობა, შიმშილი, ადმინისტრატორთა და რუს ჯარის კაცების ლანძღვა-გინება, ავათმყოფობა და უწამლობა არის. ტუსაღებს გაზეთებში წაუკითხავთ, რომ ბრაუნტალმა წამლები ჩამოუტანა ვენიდან საქართველოსაო და კითხულობენ მნახველებში: ნუ თუ ეს მართალიაო. მაშ ერთი პარაშოკი ქინა რათ არ მოაქვთ ციხეშიო? ამ ქამათ თფილისის სატუსაღოებში მუსრს ავლებს პარტახტიანი სახადი. სხვათა შორის ამ დღეებში იქ გარდაიცალენ ორი საუკეთესო ამხანაგები, ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრები—ილია წიქორიძე და დიმიტრი ჯაოშვილი. ილია წიქორიძე—ეს მუშა ინტელიგენტი, ჩვენი გაზეთის მუდმივი თანამშრომელი, მოკლეს ძალათ, მოკლეს უწამლოთ და მოუვლელათ. ამავე დროს ცოლი ითხოვდა: დამანებეთ, მოვარჩენ და მერე ისევ წაიყვანეთო.

ჩეკას შემოქმედებას კი საზღვარი არ უჩანს. ამ დღეებში მან მოიგონა ახალი სასჯელი-უვადოთ ციხეში ჯდომა. უვადოთ დატუსაღების მისჯას უცხადებენ მთელ რიგ ამხანაგებს, მათ შორის ამხანაგ გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომელთაც გასულ წელში ბრალდების წაუყენებლათ სამი თვე მიუსაჯეს, ვადის გათავების შემდეგ მეორეთ და მესამეთ გაუგრძელეს, ხოლო დღეს ეუბნებიან: ჩეკამ უვადო ციხეში ჯდომა მოგისაჯათო.

ჩეკა განაგრძობს ხვრეტასაც. 14 აპრილს სწორეთ იმ დროს, როცა გლეხებს სააღდგომო საკლავათ ღორები გამოყავთ სამწყვდევიდან, გაიყვანეს და დახვრიტეს 30 კაცი, მათ შორის 26 რუსი წითელი არმიელი. ამბობენ, რომ მათი უმრავლესობა როსტოვიდან ჩამოიყვანეს თფილისში დასახვრეტათ, ვინაიდან უნდოდათ დაემალათ წითელი ჯარის ნაწილების, თვის რა მოუვიდათ მათ ამხანაგებსო.

აი, ასეთი არის კომუნისტების «გამარჯვებული ფრონტი», მუშებისა და გლეხების საუკეთესო შვილების წინააღმდეგ.

ძველი.